# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 29 აგვისტო 2003 №162 (1933) ფასი 50 თეთრი




## ქართული ფეხბურთი ძელზე ზის

ვაი, რომ უნდა იხილოთ მეორე-მესამე გვერდები

# პუხ და ვსიონი

## უეფას თასი

UEFA CUP საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი UEFA CUP

ბოლნისი. 28 აგვისტო. 17.30 საათი. თემურ სტეფანია. 3 500 (ტევადობა 3 500)

### სიონი 0:3 პუხოვი (0:3)

0:1, 0:2 ნემეცი (17,34), 0:3 გეგიჩი (45)

სიონი: ვოლკოვი, გილაური, ხუჯაძე, ჭიჭვეიშვილი, დაუშვილი (კოშკაძე 29), ისიანი (შენგელია 72), ფანჩულიძე, გაბისკირია, გუჩუა, გონჩაროვი, წივწივაძე (კვეკვესკირი 46)
სათადარიგონი: ლაბაძე; დარსანია, გაბიდაური, ბაქრაძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

პუხოვი: ბერნადი, ოვადი, პოლნიკი, პრიჩკო, ცვირიკი (ბრისუდა 53), მაიერნიკი (პერნიში 46), ბელაკი, ბრეშკა, იაშორი, ნემეცი (ბაკოში 59), გეგიჩი
სათადარიგონი: ვალაჩი; ბელიანჩინი, ლავრიკი, სკრიპეზი
მწვრთნელი: შტეფან ზატკო

გაფრთხილება: გუჩუა (1)

მსაჯები: დეიან სტანიჩი; ვიტომირ სიმოვიჩი, დეიან ლედიჩი, დუშან შვაჯოვიჩი (ყველა სერბეთი)

მატჩის ინსპექტორი: ესა ფურონილი (ფინეთი)

ჯარიმა: 8-13; კუთხური: 13-4; კარისკენ დარტყმა: 10-5; კარში დარტყმა: 9-5; თამაშგარე: 7-4



თემურ ვოლკოვმა სამჯერ წაიშინა თავში ხელი

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

**ბოლნისში** გუშინ ბევრი რამ ევროპული იყო. სტადიონით დაწყებული, ორგანიზაციული ხარისხით დამთავრებული. იდეალური მოედანი, გამართული პრესლოჟა ინდივიდუალური ტელეფონებით, ფაქს-კომპიუტერებით აღჭურვილი პრესცენტრი, მოგების სალღრღელაშლილი ქომაგი, სავსე ტრიბუნები, სანიმუშო წესრიგი. ამით ბეჯითად ჩავაბარეთ ევრომოთხოვნები, მაგრამ ჩავიჭერით უმთავრესში...

სლოვაკურმა „პუხოვმა" პირწმინდად დაგვიჩაგრა თასის ფინალისტი. „სიონის" ჟინი და შემართება საშუალო ევროპულ დონეს ვერ გასწვდა.

გუშინდელი წაგების შემდეგ „თემურ სტეფანიაზე" შეკრებილნი დიდხანს გაჰყვიროდნენ „სიონს", ტაბლოზე სულაც 4:0 ენთო მასპინძელთა სასარგებლოდ. იმედი ბოლოს კვდება და ქვემოქართლელებს სამომავლო წარმატებების სჯერათ. ეს ძალზედ კარგია, მაგრამ რეალობაა ძალზედ მწარე. გუშინდელი მატჩი კიდევ ერთი დასტური იყო იმისაა, თუ რა საოცრად ჩამორჩება ქართული ფეხბურთი ევროპულს. რას წარმოადგენს „პუხოვი"? ჯანმაგარი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ სამი წლის გუნდს, მაგრამ ეს ფეხბურთელები სწორ ასფალტზე დასრიალებენ, ხელფას-პრემიების დაგვიანება არ იციან. ყმაწვილობაში სწორ მოედანზე აქვთ ბურთი ნაგორები, მასწავლებლებიც კვალიფიციურები ჰყავდათ, საქმის შესრულებას ნაჩვევნი არიან და, შესაბამისად, პროფესიონალებადაც ჩამოყალიბდნენ. „სიონი" კი, მიუხედავად მცდელობისა, შენებისა და შემართებისა, კიდევ კარგა ხანს ვერ გასცდება საერთო ქართულ ჩარჩოს. ჩვენი რეალობა მწარე და უნუგეშოა. ევროპულ გზაზე შედგომა ძნელი და შრომატევადი პროცესია, მერე რა, რომ იური გაბისკირიას მიროსლავ ნემეცზე დიდხანს უგორებია ბურთი და ჰამლეტ წივწივაძეს სეზონში იმდენი გოლი აქვს გატანილი, მთელ „პუხოვს" ჩემპიონატში რომ ეყოფა. ფეხბურთი პროფესიონალების გუნდური თამაშია და საამისოდ დიდი საფუძველი, შრომა და სწავლაა საჭირო. „სიონი" გუშინდელი მატჩის დასაწყისში ბედსშეუგუებელ, გასახედნად გაყვანილ ულაყს ჰგავდა. ბოლნისელებს სწრაფი გოლი სწყუროდათ და სერბი არბიტრის ჩასტვენისთანავე ძალუმად მიაწყდნენ მეტოქის კარს. ბოლნისელებს ჟინი არ აკლდათ, მაგრამ საქმის სწორად კეთებას რომ უჩვევნი იყვნენ, პირველივე წუთზე გუჩუას მიერ მიღებულმა ყვითელმა ბარათმაც დაადასტურა. „სიონის" მოქმედებაში მხოლოდ ემოცია იდო, ამან კი საბრძოლო განწყობა თხუთმეტიოდე წუთის შეუნარჩუნა ქვემოქართლელებს. ამ დროში ჩაეტია მასპინძელთა ორი სახიფათო კუთხური, ჭიჭვეიშვილის თავური, მცირედ რომ ასცდა კარს საგოლედ ყველაზე ხელსაყრელი ეპიზოდი — მეკარესთან პირისპირ გასულმა გონჩაროვმა ძელს გაარტყა ბურთი. მერე კი მოედანზე ბეჯითნი და ნასწავლნი დარჩნენ, „პუხოვმა" ზუსტი პასებით უპრობლემოდ ჭრა „სიონის" ოთხკაცა დაცვა. ნემეცის ორივე გოლი სწორედ რომ სიბეჯითის ნიმუში იყო. საპირველტაიმოდ სტუმარმა ოთხჯერ დაარტყა ვოლკოვის კარში და სამი გოლი გამოაცხო, შემთხვევით კი არაფერი ხდება თანამედროვე ფეხბურთში. სლოვაკებმა თითო ზუსტი პასი იკმარეს სამივე საგოლე ეპიზოდში და საკეთებელიც მოილიეს. იოტისხელა ინტრიგა თამაშს დებიუტშივე დაეკარგა. მე-17 წუთზე, ფლანგზე ბოლნისელთა მაწიოკებელ ბრეშკას გამოზომილი პასისას, საჯარიმოში მყოფმა ნემეცმა სწორად გაანძრია თავი და ძელის გავლით კარში მიუჩინა ბურთს ადგილი. კიდევ 17 წუთი და ნემეცმა დუბლი გამოაცხო ბრეშკას ეფექტური გარღვევის შემდეგ, სლოვაკ შემტევს „სიონის" დაცვა ბავშვურად შეჰყურებდა გადამწყვეტი დარტყმისას. დროშებიან, დაფა-ზურნიან ტრიბუნებს შეთხელება დაეტყო. „სიონი" ამაოდ ირჯებოდა პრესტიჟის გოლისთვის, მეტოქე კი ერთ-ორი პასით უპრობლემოდ აკეთებდა იმას, რაც საგოლედ საჭირო იყო. მსაჯი საპირველტაიმო საფინალო ჩასტვენას აპირებდა, გეგიჩმა მესამედ რომ გახვრიტა მასპინძელთა კარი.

სამეორეტაიმოდ საკითხავი მხოლოდ ის იყო, შეძლებდა თუ არა „სიონი" ევროდებიუტის სეზონში გოლის გატანას. ამის იმედი თემურ მახარაძის მიერ შესვენებაზე გაკეთებულმა შეცვლამ დააცხრო. „სიონის" თავკაცმა შემტევი წივწივაძე მცველ კვეკვესკირით შეცვალა. მახარაძის ნაბიჯი ერთი შეხედვით გაუმართლებელი ჩანდა, თუმც მწვრთნელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გულწრფელად აღიარა — შემეშინდა, რომ დიდი ანგარიშით არ წაგვეგო. „პუხოვი" ტრადიციულად ძლიერად თამაშობს მეორე ტაიმს და ძალაგამოცლილ ჩემს გუნდს ვაითუ საკალათბურთო ანგარიშით წაეგოო, თქვა მახარაძემ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდა სტუმართა მწვრთნელი შტეფან ზატკო. ჰკითხეს, „სიონის" გაქანების გუნდი სლოვაკურ ჩემპიონატში რომელ ადგილს დაიკავებდაო და დიდი ფიქრის შემდეგ თქვა, დიპლომატიაში აქამდე არასდროს ჩავჭრილვარ და ნურაფერს მათქმევინებთო.

საქართველოსთვის მორიგი ევროსეზონი ნაადრევად ჩამთავრდა, ბოლნისელებს კი იმედად მატჩის ბოლოს ტაბლოზე დაწერილი ის 4:0 და კიდევ თემურ მახარაძის სიტყვები დარჩათ — ამ მარცხმა ერთგვარი გამოცდილება-სტიმული შეგვძინა და საკეთებელს არ შევუშინდებითო.

მომავალ ზაფხულამდე...



თემურ მახარაძის „სიონმა" უეფას თასი ერთი ძელით დაასრულა



ორი გოლის გამტან ნემეცს ბოლნისელებმა ვერაფერი დააკლეს



შტეფან ზატკომ ბოლნისი თავაწეულმა დატოვა



## უეფას თასი

UEFA CUP საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი UEFA CUP

ქუთაისი. 28 აგვისტო. 20 საათი. ტორპედო. 8 000 (ტევადობა 19 600)

**ტორპედო 0:2 ლანსი (0:3)**

0:1, 0:2 ბაკარი (35, 41)

**ტორპედო:** სტურუა, ლ. ძნელაძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, თოდუა, კვლენაძე (კვერნაძე 65), გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, ახალკაცი (ნერგაძე 86), ყიფიანი, ზ. ქუთათელაძე (ლალაძე 65)
*სათადარიგონი:* რევიშვილი, მუშკუდიანი, გ. ჩიქტიანი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**ლანსი:** იტანჯე, ვაბა, ფანი, სონგი, რული (ლაშორი 42), ბაკი (დიანე 68), ხარი, კეიტა, დიუბი, ბაკარი, უტაკა (ტომერი 79)
*სათადარიგონი:* შაბერი, მორეირა, ფაიე, სიკორა
**მწვრთნელი:** ჟოელ მიულერი

**გაფრთხილება:** რული (27)

**მსაჯები:** ფ. ბედე, ტ. ვაროში, ა. კელემენი, ა. დუმროვიცკი (ყველა უნგრეთი)

**მატჩის ინსპექტორი:** ჰ. ილაშიცი (სლოვენია)

ჯარიმა: 14-14; კუთხური: 2-2; კარისკენ დარტყმა: 3-7; კარში დარტყმა: 2-6; თამაშგარე: 1-2

# საქართველოში საშიში არაფერია

## ბრწყინვალე გარემო ჩასადებად

# გოლები ინვესტიციების ნაცვლად



გუშინ ტორპედოელებს უტაკას მაგივრად დაგუ ბაკარმა დაჭკრა

**კახა შალამბერიძე ქუთაისიდან**

**ფრანგულმა** „ლანსმა“ ქუთაისის სტადიონი ორიოდ დღით სავარჯიშოდ დაიქირავა — გუშინწინ, ჩამოსვლის დღეს, ფრანგებმა ერთსაათიანი მოთელვა იკმარეს, თავი, გუშინ კი დამხვდურ თერთმეტ კაცთან საკმაოდ ნაყოფიერად ივარჯიშეს.

ერთი სიტყვით, სოლიდურმა, მეტოქეზე ერთი თავით მაღლა მდგომმა „ლანსმა“ იოლად მოუგო „ტორპედოს“ და ორი მატჩის (უფრო სწორად, ვარჯიშის) ჯამში 5:0-ით გავიდა უეფას თასის მომდევნო ეტაპზე.

სტუმართა დამარცხებას ქუთათურებს ვერც ვერავინ მოსთხოვდა. „ტორპედოს“ რაც შეეძლო, გუშინ მოედანზე დატოვა. და ვინც ფიქრობს, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის უმწეობა მისივე კი არა, სხვების ბრალია, ძალიანაც ცდება. ასეთი ადამიანები კი მართლაც არიან. მაგალითად, გუშინდელი მატჩის 36-ე წუთზე მოედანზე შევარდნილი მავანი ქუთაისელი გამოდგება, რომელიც ყველას გასაკვირად იოლად დაუსხლტა უამრავ პოლიციელს, გაიქცა და... საბედნიეროდ, ჩაძინებულ სამართალდამცავებს მალე გამოეღვიძათ, ავისმოსურნეს ერთი-მეორის მიყოლებით აედევნენ და ის იყო, დაუპატიჟებელ სტუმარს მსაჯისთვის საქმის გარჩევა უნდა დაეწყო, მყისვე პოლიციელთა ალყაში აღმოჩნდა. თამაში ცხადია, შეწყდა, თუმც ორიოდ წუთით. ვაიქომაგი მალევე გაარიდეს იქაურობას. ამ ამბამდე წუთით ადრე კი „ლანსმა“ პირველი გოლი გაიტანა. მეკარესთან პირისპირ გასული ჯონ უტაკას ნატაკები ზვიად სტურუამ კი მოიგერია, მაგრამ იქვე ჩასაფრებულ დაგუ ბაკარის ტყვიასავით დამატებულთან ვერაფერს გახდა. ეტყობა, ქუთაისელი ქომაგის აღშფოთება ამ გოლმა გამოიწვია, თუმც რა შუაში იყო მსაჯი, გაუგებარია. „ლანსი“ სოლიდურად გამოიყურებოდა, ფრანგებმა საშუალო და დაბალ ტემპში ითამაშეს, თუმც მასპინძლებს სისწრაფითაც სჯობდნენ და კლასითაც. წარმოიდგინეთ, რა საცოდავი იქნებოდა აყლაყუდა ფრანგ მცველებში ჩავარდნილი ჩია ზვიად ქუთათელაძე, რომელიც ეულად ცდილობდა შეტევას.

მეორე გოლი სტუმრებმა პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანეს. იმავე დაგუ ბაკარმა ბურთი მოიგდო, საჯარიმოს მიუახლოვდა და დაბალი დარტყმით მარჯვენა კუთხეში შესრიალა.

პირველ ნახევარში ქუთათურებს სტუმართა კარში არც დაურტყამთ. შესვენების მერე კი სამი ურეალურესი მომენტი გაანიავეს. 55-ე წუთზე ფრანგთა მეკარე იტანჯე ბურთით ისე იტანჯა, რომ გამეზარდაშვილმა აართვა და ... სტუმართა კარი ძელმა იხსნა. 4 წუთში ქუთათელაძეს კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ დარტყმას პასი ამჯობინა, რამაც სიტუაცია განმუხტა. 65-ე წუთზე კი მანვე რიგორ ვერ გაიტანა, მართლაც გასაკვირია — ბაბუნაშვილმა ზვიადი მეკარესთან პირისპირ დატოვა, თუმც ქუთაისელთა მე-10 ნომერს ბურთი აუხტა და სამიოდ მეტრიდან კარს აცილა.

ერთი სიტყვით, „ტორპედომ“ ითამაშა ის, რაც შეეძლო, მაგრამ საკუთარ თავს ვერ გადაახტა. ასეა, უკვე დიდი ანგარიშით არწაგებაც გვიხარიაო, თქვა ერთმა გულდამწვარმა გულშემატკივარმა და მსაჯმაც იქვე ჩასტვინა.



ზვიად სტურუამ ეს შეტევა კი მოიგერია...

**სოსო ფრუიძე:** მეტოქემ რომ გვაჯობა, საკამათო არ არის, ბიჭებს რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ „ლანსმა“ დაგვჩაგრა. მარტო მონდომებით ვერაფერს მიაღწევ. ფრანგებს მაღალი კლასის გუნდი ჰყავთ.

**ჟოელ მიულერი:** პირველ ტაიმში „ტორპედოს“ ვაჯობეთ, მაგრამ მერე მეტოქემ ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. მეორე ნახევარში „ტორპედო“ კარგად ათამაშდა, სისწრაფესაც უმატა და ამას სახიფათო მომენტებიც მოჰყვა. ჩემი გუნდიც თითქოს გაჩერდა, მაგრამ თამაში ხომ უკვე გაკეთებული იყო და ბიჭებისთვის რომც მეთხოვა, ირბინეთ, რას დგახართო, მაინც არაფერი გამოვიდოდა, ფეხბურთელები თავადაც გრძნობდნენ, რომ საშიში არაფერი იყო. თან სამ დღეში საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი ტური გველის და თავი დავზოგეთ.



ამ კაცს „ლანსთან“ თამაში თბილისის „დინამოსთან“ თამაში ეგონა



# 7 და 007

## ქართველის გოლს და ფოლკლორულ ცეკვას ტაშს ჯეიმს ბონდიც უკრავდა

*ფეხბედნიერი გამოდგა **ზურაბ ხიზანიშვილი** „რეინჯერსისთვის“ — სამწლიანი პაუზის შემდეგ გლაზგოელი „ჩაფრები“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ. „ძალიან გახარებულები ვართ“ — სამი სიტყვით მოხაზა „კოპენჰაგენ“ — „რეინჯერსის“ მატჩის კომენტარი ხიზანიშვილმა და მერე ჩვენ კითხვებსაც უპასუხა*

— „რეინჯერსში“ რომ გადახვედი, ითქვა, ალექს მაკლიშს ხიზანიშვილი საყრდენ ნახევარმცველად უნდაო, მაგრამ ყველა ოფიციალურ შეხვედრაში მცველად ითამაშე...

— მართალია, მაგრამ „რეინჯერსის“ საყრდენი და კაპიტანი ბარი ფერგიუსონი გუნდიდან წასვლას აპირებს — მას ინგლისური პრემიერლიგის „ბლექბერნი“ იწვევს. ამის მერე კი ალბათ საყრდენად გამამწესებს ალექს მაკლიში.

— „კოპენჰაგენთან“ ყვითელი ბარათი გაჩვენეს სიბუსისუ ზუმასთან წაკინკლავებისთვის, რომელიც გეუხეშა...

— ასე მოხდა, მაგრამ მაინც საკუთარ თავს ვადანაშაულებ — გაფრთხილება არ უნდა „ამეკიდა“.

— თამაშის წინ და შემდეგ რა გითხრათ მაკლიშმა?

— გლაზგოში რომ ვერ მოვიგეთ, ეს ჩვენი, ფეხბურთელების ბრალი იყო. მაგრამ კოპენჰაგენში ყველაფერი კარგად დამთავრდა და კარგის მეტი სათქმელი აღარაფერი იყო.

**— ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრით „რეინჯერსი“ გვარიან თანხას მოაქუჩებს...**

— ეგრეა, რაც არ უნდა წარუმატებლად გამოვიდეთ, უეჭველად სულ მცირე, ათი მილიონი გირვანქა შემოუვა „რეინჯერსს.“

**— ბრიტანული წყაროები გვამცნობენ, გადამწყვეტი გოლის გამტანმა შოთა არველაძემ ნამატჩევს აიბროქსელთა ფოლკლორული ცეკვა შეასრულაო...**

— შოთას მართლაც უცეკვია, მაგრამ მე ვერ დავინახე — უკვე გასახდელში ვიყავი შესული. სხვათა შორის, კოპენჰაგენის სტადიონზე 6-7 ათასი რეინჯერსელი ფანი გვამხნევებდა, იქვე იყო შონ კონორიც ვინც „რეინჯერსის“ დიდი ფანია.

**დავით თავართქილაძე**

# შოთას კომენტარი მეორე ადგილია

**გუშინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრის დასრულებისთანავე გლაზგოში დავრეკეთ და შოთა არველაძეს კომენტარი ვთხოვეთ:**

— ვფიქრობ, წილისყრის შედეგები ჩვენთვის ნორმალურია. ერთი გრანდი გუნდი ყველა ვარიანტში უნდა შეგვხვედროდა და „მანჩესტერი“ გვერგო. გვერჩივნა სხვა დიდი გუნდი დაგვჯახებოდა, ვთქვათ იტალიური და თუნდაც „მილანი“ — ჩვენთვის ეს უფრო იოლი იქნებოდა. იტალიელები ძირითადად დაცვით ფეხბურთს თამაშობენ და მათთან შეიძლება რაღაცას გახდე. „მანჩესტერის“ დამარცხების შანსი კი არა გვაქვს — ეს გუნდი ყველაფრით ძალიან ძლიერია — ფიზიკურად, ტექნიკურ-ტაქტიკურად, ინდივიდუალურად ძალიან მაგარია, თანაც ყველაფერს ძალიან სწრაფად აკეთებენ. „რეინჯერსი“ ალბათ ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლისთვის იბრძოლებს.

# ზურაბ ხორგუაშვილი სადისციპლინოს გადასცეს

ეროვნული ჩემპიონატის მეექვსე ტურში ზეგ გორის „დილა“ ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლებს, მაგრამ გორელთა დამრიგებელი ზურაბ ხორგუაშვილი სათადარიგოთა სკამიდან ვერ დამოძღვრავს შეგირდებს.

საქმე ისაა, რომ წინა ტურში „დილამ“ სტუმრად „თბილისთან“ 1:2 წააგო, ხოლო ნამატჩევს ხორგუაშვილს უცენზურო რეპლიკები უსვრია მსაჯთა მისამართით — შეხვედრას ალექსანდრე მეშკოვი არბიტრობდა.

გუშინ კი პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ ამ ფაქტის შესახებ იმსჯელა და ინციდენტის საფუძვლიანად გარჩევა სადისციპლინო კომიტეტს გადაულოცა, თუმც მანამდე ხორგუაშვილს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მაინც გამოუწერა.

**დავით თავართქილაძე**

# ერთით მეტი მინდა

## ფერგიუსონი პუიოლს ვერ ივიწყებს

**მთელი კვირა** დადიოდა ხმები, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბარსელონას“ ჩინებულ მცველს, კარლეს პუიოლს სთხოვს, სანაცვლოდ კი დიეგო ფორლანს პლუს ფულს სთავაზობს, მაგრამ ეს ვარიანტი ჩაიშალა. ამჟამად საკითხი პლუს-მინუსების გარეშე დგას — 28 მილიონი ევრო და პუიოლი თქვენია!

ვითარებას ამძაფრებს ის, რომ „იუნაიტედს“ სატრანსფერო სეზონი ცხვირწინ ეხურება — ამ შაბათკვირას ბოლო ვადაა — ასე, რომ, თუ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს რაიმე უნდა, ძალიან უნდა იჩქაროს. შეგახსენებთ, რომ 25 წლის პუიოლი „ბარსელონას“ გარეთ ჯერ ცხოვრებაში არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბარსელონას“ წარმომადგენლები ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრაზე შეხვდებიან, ალექს ფერგიუსონს კი დაუჩემებია:

„დაცვაში ჯერ კიდევ გვაქვს პრობლემები და ერთი კაცის დამატება სიმშვიდეს მოგვანიჭებდა“.

**პაპუნა ძიძია**



კარლეს პუიოლი

# ბექემი ნაქირავებში მეფესთან ახლოს

**ბზაზე,** რომელსაც „ვიქტორია ავენიუ“ ჰქვია, აი, ეს ეზო-კარი დგას და იგი დევიდ ბექემის ახალი საცხოვრებელი უნდა გახდეს. ინგლისის ნაკრების 28 წლის კაპიტანი და მისი 29 წლის პოპვარსკვლავი მეუღლე ამ საცხოვრებლის ქირად, თვეში 32 ათას გირვანქას გადაიხდიან. რატომ ქირად? ნუ იღელვებთ, თუ ძალიან მოეწონებათ, იყიდიან და ეს ჩვენი ნახევარხუმრობა კი არ არის, მათი სიტყვებია, იქაურობის პატრონებს რომ უთხრეს.

ეზო-კარის ფასი გახლავთ 5 მილიონი გირვანქა. მასში შედის საცურაო აუზი, კორტი განათებით, 2,7 აკრი ტყე და ოთხი საძილე ოთახი, რომელთაგან თავისი სააბაზანო თითოეულს აქვს.

მადრიდის ჩრდილოეთით, ელ პლანტიოში, ასეთი კარ-მიდამო სულ ექვსია, რომელსაც მაღალი ღობე და უსაფრთხოების ზომები ახლავს. სტუმრებს ორი ჭიშკრის გავლა მოუწევთ, თუმცა კარ-მიდამოს ერთი ძალიან სერიოზული მინუსი აქვს — თვითმფრინავით და ვერტმფრენით ვერ ისარგებლებ, რადგან ესპანეთის მეფის სასახლის სიახლოვესაა და არ შეიძლება.

**პაპუნა ძიძია**









**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

**ვაქცინაციის ცენტრი**

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

**სარბიელი სამუშაოდ იწვევს**

გაზეთში ნამუშევარ, გამოცდილ მბეჭდავ-ოპერატორს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 93-16-08

**რეკლამა სარბიელ-ში**

**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80**

## ჩემპიონთა ლიგა

**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**

**ლოკომოტივი** (რუსეთი) 3:1 **შახტარი** (უკრაინა) (0:1)
1:0, 2:0 აშვეთია (20, 45), 2:1 ლევანდოვსკი (71), 3:1 იგნაშევიჩი (86პ)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ლეკხეტო, მამინოვი, ხოხლოვი, ბუჟნიკინი (ლიანდრო 65), იზმაილოვი (სენნიკოვი 88), ლოსკოვი, აშვეთია
გაფრთხილება: ლეკხეტო, ვუკიჩი, მამინოვი, იზმაილოვი, ოვჩინიკოვი, ბახარევი, ხოხლოვი, სრნა, ბელიკი, ნიჟეგოროდოვი
მსაჯი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

**კოპენჰაგენი** (დანია) 1:2 **რეინჯერსი** (შოტლანდია) (1:1)
0:1 არტეტა (52პ), 1:1 სანტოსი (83), 1:2 არველაძე (87)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ბერგი, ხიზანიშვილი, ბოლი, არტეტა, ფერგიუსონი, ნერლინგერი, არველაძე, დე ბური, მოლსი
გაფრთხილება: ზუმა, ხიზანიშვილი, ლარსენი, რიკსენი, როობა, ფერგიუსონი, არველაძე, ნორეგაარდი

**ცსკა** (ბულგარეთი) 0:3 **გალათასარაი** (თურქეთი) (0:3)
0:1 პრატესი (28), 0:2 საბრი (53), 0:3 ერდემი (86)

**აიაქსი** (ჰოლანდია) 2:1დ.დ. (1:1) **გრაცერი** (ავსტრია) (1:1)
1:0 იბრაჰიმოვიჩი (14), 1:1 კოლმანი (40), 2:1 გალაშეკი (104)

**აეკ** (საბერძნეთი) 3:1 **გრასჰოპერი** (შვეიცარია) (0:1)
1:0 კაცურანისი (21), 2:0, 3:0 ლიბეროპულოსი (25, 40), 3:1 ნუნიესი (68)

**დორტმუნდი** (გერმანია) 2:1 (2:4პენ) **ბრიუგე** (ბელგია) (1:2)
1:0 ამოროზო (4), 1:1 მენდოსა (27), 2:1 ევერტონი (86)

**დინამო** (ხორვატია) 0:2 **დინამო** (უკრაინა) (1:3)
0:1 შაცკიხი (46), 0:2 რინკონი (70)

**სელტიკი** (შოტლანდია) 1:0 **მტკ** (უნგრეთი) (4:0)
1:0 სატონი (14)

**სლავია** (ჩეხეთი) 2:0 **სელტა** (ესპანეთი) (0:3)
1:0 დოშტალეკი (18), 2:0 პრდლიკა (30)

**ნიუკასლი** (ინგლისი) 0:1 (3:4პენ) **პარტიზანი** (სერბეთი) (1:0)
0:1 ილიევი (60)

**მარსელი** (საფრანგეთი) 0:0 **აუსტრია** (ავსტრია) (1:0)

**ბენფიკა** (პორტუგალია) 0:1 **ლაციო** (იტალია) (1:3)
0:1 სეზარი (28)



ნიუკასლელებმა თავი დახარეს და ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გზა ბელგრადელ პარტიზანებს დაუთმეს

# ლიგის ახალი ხიდი

## პარტიზანი გერმანული იარაღით

**დონეცკის** „შახტარს" მოსკოვში 5 ათასამდე ქომაგი გაჰყვა. ისინი მატჩამდე ექვსი საათით ადრე შეესივნენ ტრიბუნებს და შეხვედრის დაწყებამდე მღაროული სიმღერა დასჭექეს. თამაშის დროსაც არ განელებულან, მაგრამ მეშახტეებმა მატარებელი ჩემპიონთა ლიგაში მიმავალი ლიანდაგიდან ვერ გადააგდეს.

„ლოკომოტივის" გულშემატკივართა გასაკვირად, მასპინძლებმა მეტოქე საკუთარ ნახევარზე გადაიპატიჟეს. თავიდანვე შეტევის ნაცვლად მოსკოველებმა „შახტარს" სივრცე დაუთმეს. უკრაინელებმა გამოწვევა არ მიიღეს, რადგან დონეცკში თამაში მოგებული ჰქონდათ და უაზროდ გარისკვას არ აპირებდნენ. სტუმრები დაცვის შედუღაბებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ იზმაილოვ-აშვეთიას წყვილმა ტაიმის შუაწელში დუღაბი მოშალა. საჯარიმოს ხაზიდან იზმაილოვმა ბუზნიკინს ბურთი აუწია, რომლის დარტყმულიც შორეული ძელისკენ ხტუნვით გაეშურა. იქ, მცველის ზურგსუკან, აშვეთია გამოენთო და ახლოდან თავით გაიტანა.

ტაიმის მიწურულს ქართველს კიდევ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. ლუქსემბურგელი მსაჯის მიერ დამატებულ დროში, შესვენებამდე წამებით ადრე კი, აშვეთიამ მაინც იხეირა. კუთხურიდან ლოსკოვის ჩაწოდებულ ბურთს ახლო ძელთან საგოლე თავური დაუხვედრა.

„ლოკომოტივმა" სასურველი ანგარიშის შენარჩუნება მეორე ტაიმიდან დაიწყო და დაისაჯა. მარიუშ ლევანდოვსკიმ მცველებთან ჭიდილში ერთი მეტრიდან ბურთი ოვჩინიკოვის კარში შეაგელვა. შეხვედრის დრო იწურებოდა, „ლოკომოტივი" ნერვიულობდა, გაფითრებულ სიომინს მსაჯმა სიცოცხლე მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე დაუბრუნა — „შახტარის" კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. იგნაშევიჩმა ისეთი ძალით დაჰკრა, კინაღამ ფეხიც გააყოლა. პლეტიკოშა გადახტა, მაგრამ ბურთი ხარიხის ქვეშ შევარდა.

დაძაბული შეხვედრა ყვითელი ბარათებითაც დაიხუნძლა. ათიდან ექვსჯერ მასპინძლები გააფრთხილეს.

მატჩამდე აშვეთია ქომაგებს შეპირდა, ჩემპიონთა ლიგაში თუ მოვხვდებით, ნამატჩევს მოედანზე წავუცეკვებო. თამაშის შემდეგ ჟურნალისტმა ჰკითხა, დანაპირები რატომ არ შეასრულეო. სიხარულისგან დამავიწყდა, მაგრამ გასახდელში ყველამ ვიცეკვეთო, მიუგო მიხომ.

ლოთარ მათეუსმა სერ ბობი რობსონი უეფას თასზე გაისტუმრა. ბელგრადში მოგებული მატჩის შემდეგ „ნიუკასლს" „პარტიზანთან" თავი არ უნდა აეტკივებინა. პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მაგრამ მეორის დასაწყისში საშა ილიჩის ბრწყინვალე პასით ივიცა ილიევმა სტუმრები დააწინაურა.

სერბი მცველები „ნიუკასლის" შეტევებს კარგად გაუმკლავდნენ და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანეს. მასპინძელთაგან გათანაბრების საუკეთესო შანსი ჯერმენ ჯენასს ჰქონდა, რომელმაც აარონ ჰაგისის პასი ვერ შეირგო.

საქმე პენალტებამდე მივიდა. ივიცა კრალმა კირონ დაიერისა და ჯონათან ვუდგეიტის დარტყმული ბურთები მოიგერია, სტუმართა გადამწყვეტი გოლი კი ჩირკოვიჩმა შეაგდო და „პარტიზანს" ჩემპიონთა ლიგა ჩააუხატა.

„ეს მხოლოდ გუნდის და ჩემი გამარჯვება არაა, ამ მოგებით სრულად სერბეთ-ჩერნოგორიამ გაიხარა" — თქვა ლოთარ მათეუსმა. გერმანელი ბობი რობსონს 1990 წლის მუნდიალზეც შეხვდა. მაშინ ინგლისის მწვრთნელი ბობი რობსონი გახლდათ, მათეუსი კი ნაკრებში თამაშობდა.

„ჩვენ უნდა დავივიწყოთ ეს მარცხი და პრემიერლიგაზე გადავერთოთ" — აღნიშნა „ნიუკასლის" მწვრთნელმა.

დორტმუნდში „ბორუსიას" საქმე ისე აეწყო, უკეთესს ვერც ინატრებდა. შეხვედრის მესამე წუთზე მარსიო ამოროზომ ბელგიელი მეკარისა და მცველის დოყლაპიობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მასპინძლები უტევდნენ. მეორე გოლის გასატანად ფეხი ტომაშ როსიცკიმ მოიქნია, მაგრამ ტომისლავ ბუტინა ბურთს გაჭირვებით მისწვდა.

ტაიმის შუაწელში „ბორუსიას" კარისკენ საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომელიც ანდრეს მენდოსამ უზადოდ შეასრულა. იენს ლემანის შემცვლელი რომან ვაიდენფელერმა გუნდი ვერ იხსნა. სამაგიეროდ, ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გერტ ვერჰეინის მზაკვრულად დარტყმული ბურთი მოიგერია.



დორტმუნდი — ბრიუგე. ოლივერ დე კოკმა და ბელგიელებმა ტომაშ როსიცკის „დორტმუნდი" უეფას თასზე მოისროლეს

REUTERS ფოტოქრონიკა

შესვენების შემდეგ, კვლავ მასპინძლები უტევდნენ. როსიცკი-ადოს კომბინაცია „ბრიუგეს" მეკარის ჩარევით დასრულდა, რომელმაც ხიფათი კუთხურზე მოისროლა. „დორტმუნდს" მეორე გოლი სჭირდებოდა, ჰოდა, მათიას ზამერმა მცველის, აჰმედ მადუნის ნაცვლად ევერტონი შეუშვა. ცვლილებამ მალე იბარტყა. ხუან რამონ ფერნანდესის პასს ევერტონმა საგოლე თავური მიაყოლა. მატჩი დამატებით დროში გაიწელა, რომელშიც „ბორუსია" უკეთ გამოიყურებოდა, თუმც გერმანულმა გუნდმა მესამე გოლი ვერ გამოაცხო.

პენალტების სერიაში თავი მარსიო ამოროზომ და ანდრე ბერგდოლმომ შეირცხვინეს. „დორტმუნდმა" გზა „ბრიუგეს" დაუთმო და ბელგიას ამ სეზონში ორი ჩემპიონთალიგელი ეყოლება. მეორე „ანდერლეხტია", რომელმაც ორი დღის წინ კრაკოვის „ვისლა" მოიცილა.

ამსტერდამში შეყრილი მეტოქეების ბრძოლა ისევე დამთავრდა, როგორც მათი პირველი მატჩი გრაცში. მეთხუთმეტე წუთზე ანგარიში ზლატან იბრაჰიმოვიჩმა გახსნა. ბრაზილიელმა მაქსველმა შვედს ბურთი თავზე საგოლედ დაასვა. მასპინძლებმა უპირატესობა შესვენებამდე ვერ შეინარჩუნეს, რადგან როლანდ კოულმენმა გაქვითა.

მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეასკდნენ, მაგრამ მუქთად, გოლი ვერ გაიტანეს.

დამატებითი დროის პირველ ტაიმში მსაჯმა ავსტრიელები აითვალწუნა. ორი ყვითელი ბარათით ჯერ გრეგორ პოტჩერი გააძევა, მერე კი ანტონ ეჰმანი. ეჰმანისგან მასპინძლის წაქცევას მოჰყვა პენალტი, რომელიც ტომაშ გალაშეკმა გამოიყენა. ვერცხლის გოლის წესით თამაში შეწყდა. წინა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტმა „აიაქსმა" რჩეულთა შორის ადგილი კვლავ დაიბევა.

კოპენჰაგენში 40 ათასამდე კაცი შეიყარა. მასპინძელთა ქომაგები „კოპენჰაგენისგან" „რეინჯერსის" ძლევას ელოდნენ. გლაზგოური 1:1-ის კვალობაზე დანიელებს უგოლო ფრეც აძლევდათ ხელს, რასაც მიაღწიეს კიდეც პირველ ტაიმში.

შესვენების შემდეგ „ვიკინგთა" მცველმა ურმას როობამ „რეინჯერსის" შეტევა პენალტის ფასად ჩაშალა. მიკელ არტეტამ სტუმრები დააწინაურა და გლაზგოელები ანგარიშის შენარჩუნებაზე გადაერთვნენ.

შეხვედრის დასრულებას შვიდი წუთიღა აკლდა, დანიელთა ბრაზილიელმა ფორვარდმა ალვარო სანტოსმა რომ გაქვითა. ამ მატჩშიც დროის დამატება დასჭირდებოდათ, მაგრამ შოთა არველაძემ თამაშგარეს ზღვარზე გამოზომილად ითამაშა და ერთი შეხებით „კოპენჰაგენი" დაზაფრა.

ვიგოს „სელტამ" ბეწვის ხიდზე იარა. სამბურთიანი მარაგით დატვირთული გალისიელები პრაღას ეწვივნენ. „სლავია" მეტოქეს აჯაგრული დაუხვდა. ჩეხთა შეტევებმა ისე გააბრუა სტუმრები, რომ ბურთის მოგერიებას ველარ ასწრებდნენ: მცველები, მეკარე, „სელტას" კარის ჩარჩო. ყველამ და ყველაფერმა „სლავიას" იერიშების სიმწარე იწვნია.

უკვე მეთვრამეტე წუთზე რიჩარდ დოსტალეკმა მასპინძლები დააწინაურა. ადრეულმა გოლმა ჩეხები შეაგულიანა და ვიგოელთა საჯარიმო ქაცვებით გათელეს. მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში ტომაშ ჰრდლიჩკამ სხვაობა ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ დაიწყო გალისიელთა კოშმარი, რომელსაც სტუმრებმა 60 წუთის მანძილზე გაუძლეს და ჩემპიონთა ლიგაში მოხვდნენ. ამ მიზანს „სელტას" რუსი „ძრავა" ალექსანდრ მოსტოვოი შეეწირა, რომელიც მეოთხმოცე წუთზე გააძევეს.

ლისაბონში „ბენფიკას" სტადიონი ევრო 2004-ისთვის ემზადება, რის გამოც „ბენფიკა" — „ლაციო" პორტუში, „დუ ბესაზე" გაიმართა. ძირძველი მეტოქის ბუდეში ლისაბონელებს გამარჯვება არ ეწერათ. რობერტო მანჩინის გუნდი რჩეულთა შორის დამსახურებულად აღმოჩნდა, რადგან პორტუგალიელ მეტოქეს ორივე მატჩში სძლია. პორტუში „ლაციოს" ერთადერთი გოლი ბრაზილიელმა ნახევარმცველმა სეზარმა თავით გაიტანა.

ათენში ჩვეულად ძლიერად ითამაშა აეკმა. ბერძნებმა ციურიხში „გრასჰოპერთან" ერთბურთიანი სხვაობით წაგებული მატჩი არად ჩააგდეს. აეკის შეტევებმა სასურველი შედეგი პირველივე ტაიმში მოიტანა. კოსტას კაცურანისისა და ნიკოს ლიბეროპულოსის ზუსტ დარტყმებს შესვენებამდე საკუთარ კარში პასკალ კასტილოს გოლი მოჰყვა და „გრასჰოპერი" კალიასავით გაიჭყლიტა.

**მაკა ხუციშვილი**





ოლაფ მელბერგისა და რობერ პირესის მოედანზე დაწყებული ჩხუბი მოედნის გარეთაც გაგრძელდა

# ულიეს ფსონი და ჩხუბი გვირაბში

## ინგლისი

### პრემიერლიგა. III ტური

**მანჩესტერი 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 ოში (10)
მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, ოში, კინი, ფ. ნევილი, სოლსკიაერი (ბელიონი 84), კლებერსონი (სქოულზი 67), ჯემბა-ჯემბა, რონალდო (გიგზი 67), ფორლანი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვულვერჰემპტონი: ოუკსი, ირვინი, ბატლერი, კრადოკი, ნეილორი, ნიუტონი (სილასი 75), კამერონი, ინსი, ბლეიკი, კამარა
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: გ. ნევილი, ოში, ბატლერი, ბლეიკი
მსაჯი: გრემ პოლი
67 648 მაყურებელი

**არსენალი 2:0 ასტონ ვილა**

1:0 კემპბელი (57), ანრი (90)
არსენალი: ლემანი, ლორანი, კემპბელი, ტურე, კოული, ჟილბერტო, ვიეირა, პირესი, ლიუნგბერგი (პარლოუ 78), ვილტორდი (ბერხკამპი 67), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ასტონ ვილა: სორენსენი, დელენეი, მელბერგი, სამუელი, იონსენი, ბერი, ჰენდრი, დე ლა კრუზი, ვიტინგემი, კინსელა (ვასელი 60), ანხელი
მწვრთნელი: დეივიდ ოლირი
გაფრთხილება: ტურე, ვიეირა, ბერხკამპი, ჰენდრი, დელენეი, ანხელი, ვიტინგემი
მსაჯი: დინი
38 010 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 ტოტენჰემი**

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ბისკანი, ჰიპია, კარაგერი, დიუფი, ჯერარდი, კიუელი, შმიცერი (მერფი 72), ოუენი, ბაროში
ტოტენჰემი: კელერი, გარდნერი, რიჩარდსი, კინგი, კარი, დევისი, რედნაპი, რიკეტსი, ტარიკო, ზამორა (კანო 66), პოსტიგა (ანდერტონი 86)
გაფრთხილება: დიუფი, ფინანი, რედნაპი, რიჩარდსი, კარი, კინგი, გარდნერი
მსაჯი: რენი
43 778 მაყურებელი

**ოთხშაბათ** საღამოს „არსენალი" სათავეში ჩაუდგა პრემიერლიგას, რადგან 2:0 მოუგო „ასტონ ვილას", „მანჩესტერმა" კი მხოლოდ ჯონ ოშის კენტი გოლით სძლია მაჩანჩალა „ვულვერჰემპტონს" და გატანილი გოლების ნუსხაში ერთი ბურთით ჩამორჩა „მეთოფეებს".

სხვაფრივ კი, „არსენალი" და „მანჩესტერი" ორადორი გუნდია პრემიერლიგაში სამივე მატჩი რომ მოუგია.

„არსენალი" ბევრს და ლონივრად უტევდა „ჰაიბერიზე" „ვილას", თუმცა, გოლი მხოლოდ მეორე ტაიმის მე-12-ე წუთზე გაიტანა. ანგარიში სოლ კემპბელმა გახსნა კუთხურს მოყოლილი თავურით. მეორე გოლი კი მსაჯის დამატებულ დროში ტიერი ანრიმ შეაგდო შეცვლაზე შესული დენის ბერხკამპის საუცხოო გადაცემით.

საერთოდ კი „არსენალმა" ვერ გასწია თავისი ელექტრონული ფეხბურთი, რადგან დევიდ ოლირის ისე მოემართა ბირმინგემელები, რომ იმათი გატეხვა ძალიან ჭირდა.

შესვენებისას სტადიონის გვირაბში გაწევ-გამოწევა მოხდა რობერ პირესსა და ვილელ ოლაფ მელბერგს შორის.

ძიძგილაობაში ბირმინგემელთა მეორე მწვრთნელი როი აიტკენი და „მეთოფეთა" კაპიტანი პატრიკ ვიეირაც მონაწილეობდნენ. მელბერგმა თქვა, რომ პირესი და ანრი მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ეუწმაწურებოდნენ, პირესმა კი განმარტა, თამაშის მერე მისთვის ხელი არ ჩამომირთმევია, თუმცა, ბოლმაც არ ჩამრჩენიაო.

ამ დროს კი „ოლდ ტრეფორდს" სტუმრობდა „ვულვზი", რომელსაც ქულაც კი არა აქვს და წინა ორ მატჩში ცხრა გოლი გაუშვა. სერ ალექს ფერგიუსონმა სასტარტოში დააყენა კლებერსონი და კრისტიანო რონალდო, როი კინი და ოში კი ცენტრალურ მცველებად გაამწესა. ნამდვილი ფეხბურთი „მანჩესტერმა" მხოლოდ პირველ 15 წუთს ითამაშა, მერე კი ხეირიანი ვერაფერი მოახერხა. მენეჯერმა 67-ე წუთზე ახალწვეულები გიგზითა და სქოულზით შეცვალა, თუმც, თამაშს არაფერი დატყობია. ოშიმ მეათე წუთზე, ასევე კუთხურს მოყოლილი თავურით გაიტანა თავისი პირველი მანჩესტერული გოლი.

„ვულვზში" მამაცურად იბრძოდა და სენეგალელ ანრი კამარას ანგარიშის გათანაბრებაც კი შეეძლო. სტუმართა შორის იყვნენ ძველი მანჩესტერელები, დენის ირვინი და პოლ ინსი. „იღბალმა ზურგი გვაქცია. ეს არ იყო წასაგები თამაში" — თქვა ინსმა.

უილიამ ჰილის მეფსონეები კი უკვე აქვეყნებენ რიცხვს „ლივერპულის" მენეჯერობიდან ჟერარ ულიეს გადაყენების შანსების თაობაზე, სადღეისოდ, ფსონი 6/5-ზეა, რაც ფულის მოგების საშუალებას იძლევა. „ლივერპულის" ჩემპიონობის ფსონი კი 33/7-ზეა. გუნდს თამაში ვერ მოუგია და გოლიც ერთადერთი აქვს გატანილი, მაიკლ ოუენის მიერ ორჯერ დარტყმული პენალტით პირველ ტურში. ამჯერად „ლივერპული" „ტოტენჰემს" დაშორდა მორიგი უგოლო ყაიმით.



ამბობენ, ჟერარ ულიეს „ლივერპულს" აღარ ანდობენო

REUTERS

ულიემ, რომელიც ამ დღეებში ქადაგად დავარდა და ინტერვიუებს იძლევა, თავდასხმაში ერთად გამოიყვანა ჰარი კიუელი, ოუენი, ელ-ჰაჯი დიუფი და მილან ბაროში. თუმცა, აქედან არაფერი გამოვიდა. თუ სტივენ ჯერარდს შეეძლო გატანა, ირჟი დუდეკმაც იხსნა მასპინძლები მაიკლ რიკეტსისა და ენტონი გარდნერის დარტყმების შემდეგ.

„ამ საქმეს ორგვარად უნდა შევხედოთ" — განგვიმარტა ულიემ მატჩის შემდეგ — ერთი, რომ სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ და მეორე, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ. ეს იყო ამ სეზონში ჩვენი საუკეთესო თამაში და გოლების მეტი არაფერი გვაკლია".

ახლა ულიე მერსისაიდული დერბისთვის ემზადება. რას იზამს „ლივერპული" „ევერტონის" წინააღმდეგ?

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 2 მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 3 პორტსმუთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 4 სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 |
| 5 ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 6 ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 8 ჩარლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 9 ბირმინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 10 ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 11 საუთჰემპტონი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 12 ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 13 ლიდსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 ლესტერი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 15 ლივერპული | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 ნიუკასლი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 17 ასტონ ვილა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 მიდლსბრო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 19 ბოლტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | -8 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | -8 | 0 |
| 20 ვულვზი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | -9 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

# აბა, რა?!

## ბოლოს იყო ბექჰემის თავი

## ესპანეთი

### სუპერთასი საპასუხო მატჩი

**რეალი 3:0 მალიორკა (1:2)**

1:0 რაული (45), 2:0 რონალდო (52), 3:0 ბექჰემი (72)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ბექჰემი, ზიდანი, კამბიასო, ფიგუ (სოლარი 89), რაული (გუტი 72, პორტილიო 86), რონალდო
მალიორკა: ფრანკო, კორტესი, ნინო (სტანკოვიჩი 76), ნადალი, პოლი, კამპანო (მურერა 56), იბაგასა, მარკოსი (ნაგორე 85), ტონი, ეტოო, ბრუგინკი
გაფრთხილება: იბაგასა, ნინო
მსაჯი: მედინა კანტალეხო
50 000 მაყურებელი

**ესპანეთის** სუპერთასი „რეალმა" მოიგო. პალმაში წაგებული 1:2 „ლოს გალაქტიკოსისთვის" დაუძლეველი წინააღმდეგობა არ გამოდგა, შინ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" 3:0 იმძლავრა და საქმეც სენსაციის გარეშე მომთავრდა.

ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაიხსნა: ზიდანმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, ბურთი „მალიორკას" გოლკიპერმა ლეო ფრანკომ ვერ შეიმაგრა, იგი მარცხნიდან შევარდნილი რობერტო კარლოსისკენ გაგორდა, ბრაზილიელმა შუაში, უმეთვალყურეოდ დარჩენილ რაულს მიართვა, ხოლო კაპიტანმა დაუცველ კარში შეაგორა.

შესვენების შემდეგ, 8 წუთში, რონალდომ მეორე გაიტანა. ბრაზილიელს პასი ლუიშ ფიგუმ მიაწოდა, მან კი ბურთი ლამაზად დაიმორჩილა და არც დარტყმა შეშლია. ხოლო 43-ე წუთზე, „სანტიაგო ბერნაბეუზე" დებიუტი გოლით ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა აღნიშნა. რონალდოს მიერ მარცხნიდან ჩაწოდებულ მაღალ ბურთს აუხტა და თავით გაგზავნა ბადეში.

მატჩის შემდეგ, „რეალის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა კარლუშ კეიროშმა განაცხადა:

„ბექჰემი თანდათანობით მეტად და მეტად თავდაჯერებული ხდება. ვიცი, მას კიდევ უკეთ შეუძლია თამაში, ვიდრე დღეს ითამაშა და ეს ხალხმაც უნდა გაიგოს. ახალ ქვეყანაში, ახალ გუნდთან და ახლებურ სტილთან შეგუება ძალიან ძნელია. ამას დრო სჭირდება".

აღსანიშნავია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუმ" ბექჰემს თბილი შეხვედრა მოუწყო. განსაკუთრებით დიდი ტაში მან მეშვიდე წუთზე დაიმსახურა, როდესაც მარცხენა მხრიდან სახიფათოდ შეასრულა საფირმო საჯარიმო დარტყმა. გარდა ამ ეპიზოდისა, პირველ ნახევარში ინგლისელს კიდევ ორი შესაძლებლობა ჰქონდა სტანდარტული სიტუაციიდან გამოეჩინა თავი, მეორე ტაიმში კი, როგორც მოგახსენეთ, თავით ლამაზად შეაგდო.

„დღეს ჩემთვის საგანგებო დღე იყო — განაცხადა ბექჰემმა პრესკონფერენციაზე.

შემდეგ მას შეახსენეს, რომ კრიტიკოსები მრავლად ჰყავს ჩასაფრებული, რაზეც მიუგო:

„ფსიქოლოგიურად რთული თამაშები ყოველთვის იქნება. მთელი ჩემი კარიერა ასეთი დღეებისა და შეხვედრებისგან შედგება, მაგრამ ეს არ მთრგუნავს. მე მიყვარს ხალხისთვის იმის დამტკიცება, რომ ისინი ცდებოდნენ, მათი გაჩუმება მსიამოვნებს. დღეს საერთოდაც კარგი თამაში იყო, მთელმა გუნდმა კარგად ააწყო, ჩემს გოლზე კი იმას მოგახსენებთ, რომ ისიც ფრიად უცნაური გახლდათ, რადგან თავით ათასში ერთხელ გამაქვს. ნამდვილად არ მახსოვს როდის შევაგდე ბოლოს თავურით" — მიუგო ნახევარმცველმა.

„მალიორკას" კი მხოლოდ სამჯერ ჰქონდა სახიფათო მომენტი, მაგრამ მეკარემ, იკერ კასილიასმა გამოიჩინა თავი. ასე მოხდა არნოლდ ბრუგინკის და არიელ იბაგასას საჯარიმოების დროს, ხოლო ფერნანდო ნინოს თავური „რეალის" კარის ძელმა მოიგერია.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS

რონალდო „რეალს" გოლით შეეწია

## გერმანია

### ბუნდესლიგა. IV ტური

**ჰანოვერი 3:3 ჰანზა**

1:0 კრისტიანსენი (16), 1:1, 1:2 მაქსი (43, 62), 2:2 კრისტიანსენი (66), 3:2 შიმაკი (71), 3:3 ვორბეკი (90)
ჰანოვერი: ტრემელი, ჩერონდოლო, კონსტანტინიდისი, ვინისიუსი, დე გუზმანი, დაბროვსკი, კრუპნიკოვიჩი, შულერი (შტეფული 84), შტაინერი (ბრდარიჩი 61, შტენდალი 90), კრისტიანსენი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰანზა: შობერი, ტიკუზე, კინცი, ჰილი, მელკამი, ადუბე, პლასნეგერი (ვორბეკი 74), ლანცი, შულცი, მაქსი, პრიკა
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: კრისტიანსენი, შიმაკი, ჰილი, ადუბე, ლანცი, პლასნეგერი, მაქსი
მსაჯი: კესლერი
21 312 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 10 |
| შტუტგარტი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 10 |
| ლევერკუზენი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:3 | 9 |
| დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| მიუნხენი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ვოლფსბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 6 |
| ჰანზა | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 5 |
| ფრაიბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| ჰანოვერი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:10 | 5 |
| შალკე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | 5 |
| ბოხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| გლადბახი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| კიოლნი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 3 |
| ლაუტერნი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| ჰერტა | 4 | 0 | 3 | 1 | 0:3 | 3 |
| აინტრახტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ჰამბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |

# ესპანეთი. პრიმერადივიზიონი. 2003-2004

# პრიმერადევიდიონი

*დევიდ ბექემი მანჩესტერში იყო, რონალდინიო პარიზში. ბექემი გუნდიდან წასვლას არ აპირებდა, ისევე როგორც პარიზიდან ბრაზილიელი. მაისის ბოლოს ფერგიუსონმა რონალდინიოს ყიდვა გადაწყვიტა, რადგან დევიდს ყავის ჭიქაში მადრიდის გზები უნახა.*

*ერთ ხანს ისე ჩანდა, თითქოს ბრაზილიელს ბექემის გვერდით „მანჩესტერ იუნაიტედში“ უნდა ეთამაშა. ეს არ მოხდა, რადგან რონალდინიო „წითელ ეშმაკებს“ ორჯერ ეშმაკმა, 40 წლის ადვოკატმა ხუან ლაპორტამ დასცინცლა, რომელმაც „ბარსელონას“ პრეზიდენტობა დღეში სამჯერ დევიდ ბექემის სახელის ხსენებით მოიგო.*

*ვიქტორიას ქმარი საბოლოოდ კატალონიელთა მტრის ბუდეში აღმოჩნდა და ფლორენტინო პერესს ერგო. მანჩესტერში 35 მილიონი ევრო ნაცუნცულდა, პარიზში — 30. სანაცვლოდ ესპანეთმა აი, რა მიიღო: ისინი, ვინაც თითქოს ერთად უნდა ყოფილიყვნენ („მანჩესტერში“, „ბარსელონაში“ თუ „რეალში“), ერთმანეთის წინაალმდეგ ჯიგრისა და თვალისმწველ ომში წარსდგებიან. ხვალ პრიმერადივიზიონი იწყება, რომელსაც ამ ზაფხულის ორი მთავარი გმირი დაამშვენებს: რონალდინიო და დევიდ ბექემი.*

*„რეალისა“ და „ბარსელონას“ ამბებზე ტონობით ფურცელი დაიწერა და მელანი დაიხარჯა, მაგრამ ესპანური ოცეულის სეზონისწინა სამზადისსა და მიზნებზე თხრობას მაინც „სამეფო კლუბით“ და კატალონიის სიამაყით დავიწყებთ*





## რეალი

მადრიდელთა დაცვის ხაზი იოლად მოსარღვევია, რაც არაერთ მატჩში გამოჩნდა. „რეალის“ მცველთა სისუსტეზე სპეციალისტები ხშირად საუბრობენ და ფლორენტინო პერესმა წუხელ „ვალენსიიდან“ არგენტინელი რობერტო აიალა გადაიყვანა.

გუნდიდან წავიდა ფერნანდო იერო. იეროს შემცვლელად არგენტინიდან გაბრიელ მილიტო ჩაიყვანეს, მაგრამ ჯანი დაუწუნეს. ინგლისიდან რაულ ბრავო დაბრუნდა, რომელმაც „ლიდსში“ ერთწლიანი საიჯარო ვალი მოიხადა. ივან კამპომ მომავალი „ბოლტონს“ დაუკავშირა.

გაახალისეს ერთ მილიონ ევროდ ტიტე, რომელმაც „ბეტისს“ მიაშურა. ჯერემი ნჯიტაპიმ აბრამოვიჩის „ჩელსი“ დაამშვენა. ფლავიო კონსეისაო მათიას ზამერის „ბორუსიას“ ერთი წლით დაეხმარება. სავიო „სარაგოსას“ საკუთრება გახდა, ალბერტ სელადესი კი „ბორდოს“ შეუერთდა.

დევიდ ბექემის შეძენით „რეალი“ კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ „მალიორკამ“ სუპერთასის პირველ მატჩში აუწყა მსოფლიოს, რომ „სამეფო კლუბის“ ჯავშანი არცთუ საიმედოა.

მადრიდელთა მიზანი ამ სეზონში, რა თქმა უნდა, ყველაფრის მოგებაა. ისინი ესპანეთის სუპერთასს უკვე დაეპატრონნენ.

## ბარსელონა

ხუან გასპარისა და ლუის ვან გაალის ერა დასრულდა.

ვან გაალი რადომირ ანტიჩმა შეცვალა. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „იუვენტუსს“ ვერ გაუმკლავდა, მაგრამ „ბარსელონას“ უეფას თასზე გაყვანა მაინც შეძლო.

ივნისში კლუბის პრეზიდენტად ხუან ლაპორტა აირჩიეს. ანტიჩი სამსახურიდან დაითხოვეს. ახალი პრეზიდენტი ამომრჩევლებს ბექემის ყიდვას შეპირდა და ხმების უმრავლესობით ხუან გასპარის ადგილი მიიღო. ბექემი კარგი სატყუარა გამოდგა.

ლაპორტამ მშენებლობა კარიდან დაიწყო — „ფენერბაჰჩედან“ რუშთუ გადაიყვანა. ვალებში ჩაფლულმა „მონაკომ“ „ბარსელონას“ მცველი რაფაელ მარკესი 5 მილიონ ევროდ დაუთმო. ამასობაში ფრანკ რაიკარდის სახელი ამოტივტივდა და ჰოლანდიელი „ბარსელონას“ მწვრთნელობას დათანხმდა.

მარჯვენა ფლანგისთვის კაცი კატალონიელებმა ლისაბონში იპოვეს. „სპორტინგმა“ კვარესმას სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო მიიღო. მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი ლუის გარსია „ბარსას“ 3 მილიონი ევრო დაუჯდა.

როცა რონალდინიო ყველას მანჩესტერისკენ აბარგებული ეგონა, ბრაზილიელი ბარსელონას აეროპორტში დაეშვა. პსჟ-ს 30 მილიონი ევრო ჩაუთვალეს და გამთამაშებლის პრობლემაც გადაწყდა. რამდენიმე დღის წინ „არსენალიდან“ მემარცხენე ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი გადაიყვანეს და შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ სოლიდური შემტევი თაიგული შეიქმნა.

გუნდიდან ჯოვანი „ბენფიკაში“, როჩემბაკი კი „სპორტინგში“ გაუშვეს. მენდიეტა „მიდლსბროს“ ეწვია, ფრანკ დე ბური კი „გალათასარაის“ წითელ-ყვითელი მაისურით შემოსა.

## დეპორტივო

ლაკორუნიელებმა როი მაკაი მიუნხენის „ბაიერნს“ 20 მილიონ ევროდ მიჰყიდეს. „მალიორკადან“ იჯარამოვლილი ვალტერ პანდიანი დაიბრუნეს, „აუსტრიადან“ კი ჯალმინია. „დეპორტივოდან“ კონტრაქტ-დასრულებული დონატო წავიდა.

ხავიერ ირურეტა კვლავ ჩემპიონთა ლიგაში იქნება. ალბერტო ლუკეს, დიეგო ტრისტანის და ვალტერ პანდიანის პატრონს ამ სეზონში ოთხეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვს და გალისიელებიც საამისოდ იბრძოლებენ.

## სელტა

მეორე გალისიური კლუბი ჩემპიონთა ლიგაში შეღწევას ზედიზედ რამდენიმე წლის მანძილზე ლამობდა და საბოლოოდ მოახერხა. „სელტას“ მთავარი კაცი ისევ ალექსანდრ მოსტოვოია, რომელმაც კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა. ვიგოელებს ლისაბონის „სპორტინგიდან“ ნახევარმცველი პაბლო კონტრესი დაუბრუნდათ, „პარმადან“ კი სავო მილოშევიჩი. ამსტერდამიდან დროებით ვიგოში ჩასული აჰმედ ჰოსამ მიდო „მარსელმა“ წაიყვანა, დორივა — „მიდლსბრომ“.

## ვალენსია

„ვალენსია“ უეფს თასის გზას გაუყვება, ოღონდ კილი გონსალესის გარეშე, იგი ძველ ნაცნობთან, ექტორ კუპერთან „ინტერში“ გადაბარგდა. მცველი ანტონი რევეირი „ლიონს“ დაუბრუნეს, მიროსლავ ჯუკიჩს კი კონტრაქტი დაუმთავრდა და „ტენერიფეს“ მიაშურა.

„ვილიარეალიდან“ ნახევარმცველი ხორხე ლოპესი დაიმატეს, სამხრეთ ამერიკიდან კი ორ ფეხბურთელი ჩაიყვანეს: თავდამსხმელი რიკარდო ოლივეირა „სანტოსიდან“ და ფაბიანო კანობიო „პენიაროლიდან“.

## სოსიედადი

წინა სეზონში ბრწყინვალედ მოთამაშე გუნდს ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. რეინალდ დენიომ მისავათებული „სოსიედადი“ აალორძინა და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვა. ბასკური კლუბი ამ სეზონში კვლავ პრიმერადივიზიონის მოგებას შეეცდება და ალბათ არც ჩემპიონთა ლიგაში შერცხვება.

გუნდიდან ერთი თურქი, ტაიფუნ კორკუტი „ესპანიოლში“ იჯარით გადავიდა, ხოხლოვი კი „ლოკომოტივს“ შეუერთდა. მთავარი მოთამაშეები — დარკო კოვაჩევიჩი და ნიჰათი სან სებასტიანში დარჩნენ. „სოსიედადმა“ 4 მილიონ ევროდ სამხრეთკორეელი ნახევარმცველი ჩუნ სო ლი შეიძინა, „ატლეტიკიდან“ კი ალკისა გადაიყვანა.



**ახალი ამხავი: ვალენსიელი რობერტო აიალა რაფაელ ბენიტესმა „რეალში“ გაისტუმრა**

## ატლეტიკო

მადრიდის „ატლეტიკოს“ „ლაციოდან“ დიეგო სიმეონე დაუბრუნდა. საინტერესო იქნება დედაქალაქური დერბი, როცა ერთმანეთს დევიდ ბექემი და სიმეონე მოედანზე შეხვდებიან. „მალაგადან“ კიკი მუსამპა შეიძინეს, „ტენერიფეს“ კი ერთი წლით ველკო პაუნოვიჩი წაჰგვარეს.

გუნდი დემეტრიო ალბერტინიმ დატოვა, რომელიც მშობლიურ „მილანს“ დაუბრუნდა. ფაბრიციო კოლოჩინი და ხოსე მარი „ვილიარეალს“ შეუერთდნენ.

## ვილიარეალი

„ყვითლები“ არსებობის მანძილზე პირველად გავიდნენ უეფას თასზე. წინა სეზონში მეთხუთმეტე ადგილზე გასული „ვილიარეალი“ თავს დიდმეგოლე სონი ანდერსონით იწონებს, რომელიც „ლიონს“ გაეყარა. კოლოჩინისა და ხოსე მარის გარდა „ყვითლებმა“ „ესპანიოლიდან“ ნახევარმცველი როჯერ გარსია გადაიბირეს.

## მალაგა

„მალაგადან“ აჯანყებული ურუგვაელი დარიო სილვა აიბარგა, უეფას თასზე წარმატებული თამაშისთვის კუთვნილ პრემიებს არ გვაძლევენო. მან „სევილიას“ მიაშურა. უბერებელი დელი ვალდესი ურუგვაიში, მონტევიდეოს „ნასიონალში“ წავიდა. მათ ნაცვლად მალაგელებმა ერთი მეგოლე, ვალენსიელი დიეგო ალონსო დაიმატეს.

## მალიორკა

კუნძულელებმა სამუელ ეტოო შეინარჩუნეს და მას კიდევ ორი ფორვარდი მიუმატეს: „ეინდჰოვენიდან“ არნოლდ ბრუგინკი და ხესუს პერეირა, რომელიც 360 ათას ევროდ „ალბასეტემ“ დაუთმო. წასულთაგან ალბერტ რიერაა გამოსარჩევი. მის სანაცვლოდ ფრანგულმა „ბორდომ“ 6 მილიონი ევრო გაიღო.

## ბეტისი

სევილიელებმა „მალაგადან“ მეკარე პედრო კონტრერასი მუქთად მიიღეს, ისევე როგორც „ვილიარეალიდან“ მარტინ პალერმო. „ასტონ ვილასგან“ ერთწლიანი იჯარით ისლანდიელი ნახევარმცველი იოჰან გუდიონსენი წაიყვანეს. ურუგვაის „ნასიონალიდან“ მცველი დანიელ ლემბო 6 მილიონ ევროდ შეიძინეს.

## ბილბაო

ბასკებმა ტრადიცია დაარღვიეს. უცხოელი ფეხბურთელი არ შეუძენიათ, მაგრამ „ატლეტიკის“ მაისურებზე სარეკლამო წარწერა გამოჩნდება, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. „ატლეტიკმა“ „კოლამბია პიკჩერზთან“ კონტრაქტი გააფორმა. ახალი ფილმების სახელს მაისურებზე წააწერენ. შემდეგ მათ ლატარიაში გაათამაშებენ და მოგებული ამერიკაში გაემგზავრება.

## ვალიადოლიდი

„ვალიადოლიდმა“ „ოვიედოდან“ ფორვარდი რობერტო ლოსადა ერთი წლით ითხოვა, ისევე როგორც „ნანტიდან“ არიზა მაკუკულა და მადრიდის „რეალიდან“ მცველი ჟულიო სეზარი.

## რასინგი

დმიტრი პიტერმანი ეტყობა მეკარეებით უკმაყოფილოა და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთი სეზონით რიკარდო წაჰგვარა, ჰაიფას „მაკაბის“ კი დუდუ ავატი.

## ესპანიოლი

„რასინგიდან“ წასული მეკარე ერვინ ლემენსი „ესპანიოლმა“ აიყვანა. ბარსელონელებმა ყველა რგოლი გაძლიერეს — დაცვას პიერ ვომე მიაშველეს, შუა ხაზს კი ტაიფუნი „სოსიედადიდან“. „უელვადან“ მეგოლე რაულ მოლინა გადაიყვანეს, ხოლო „ალავესიდან“ ხორდი კრუიფი.

## ახალბედები

სეგუნდადივიზიონის ტრიუმფატორი „მურსია“ ამბიციურ მწვრთნელ ხოაკინ პეიროსთან ერთად უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებას აპირებს. მურსიელთა შემადგენლობაში მიკელ როტეტა, ხუან ესნაიდერი, დავიდ კარანკა და რაიოვალეკანოელი მიჩელი ითამაშებენ.

| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 481 | ისთანბული-რიზე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.00 | 482 | ტრაბზონი-სებათი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 483 | ტრაბზონი-სებათი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 484 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 485 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 486 | ანკარაგიუჯიუ-ბურსა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 17.25 | 510 | სპარტა-სლავია | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.15 | 511 | ტეპლიცე-სინოტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 512 | ტეპლიცე-სინოტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 20.15 | 513 | პრჟიბრამი-ბუდეიოვიცე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 514 | პრჟიბრამი-ბუდეიოვიცე 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 20.15 | 515 | სიგმა-ოპავა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.15 | 516 | ბრნო-ბლშანი | 1,25 | 5,3 | 9,0 | 1,01 | 1,09 | 3,33 |
| 20.15 | 517 | ბანიკი-პლზენი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 518 | ბანიკი-პლზენი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.40 | 519 | იაბლონეცი-ლიბერეცი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 20.15 | 520 | ზლინი-ჟიჟკოვი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 556 | ლეგია-ლეხი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 557 | ლეგია-ლეხი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 558 | სვიტი-გურნიკი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 20.30 | 559 | ამიკა-ვისლა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 560 | ვიძევი-ლეჩნა | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 561 | კატოვიცე-ოდრა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 562 | გროცლინი-პოლონია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 563 | გროცლინი-პოლონია 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 20.00 | 564 | პლოცკი-პოლკოვიცე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **უეფას სუპერთასი (მონაკოში)** | | | | | | |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 761 | მილანი-პორტუ | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 5009 | მილანი-პორტუ | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 16.30 | 5010 | ევერტონი-ლივერპული | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 19.00 | 5011 | ასტონ ვილა-ლესტერი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 19.00 | 5012 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 19.00 | 5013 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,8 | 2,35 | 6,0 | 1,01 | 1,38 | 1,68 |
| 19.00 | 5014 | მიდლსბრო-ლიდსი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1.32 |
| 19.00 | 5015 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,9 | 3,3 | 5,6 | 1,2 | 1,41 | 2,07 |
| 19.00 | 5016 | ტოტენჰემი-ფულემი | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1,07 | 1,47 | 1,52 |
| 19.00 | 5017 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 21.00 | 5018 | რეჯინა-სამპდორია | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 5019 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 5,0 | 2,25 | 2,05 | 1,55 | 1,45 | 1,07 |
| 20.05 | 5020 | სიტი-არსენალი | 4,2 | 2,2 | 2,3 | 1,44 | 1,48 | 1,12 |
| 18.00 | 5021 | ბრეშა-კიევო | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 18.00 | 5022 | ინტერი-მოდენა | 1,45 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,21 | 2.29 |
| 18.00 | 5023 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |
| 18.00 | 5024 | ლაციო-ლეჩე | 1,6 | 2,9 | 6,5 | 1,03 | 1,28 | 2 |
| 18.00 | 5025 | პერუჯა-სიენა | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 18.00 | 5026 | უდინეზე-რომა | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 23.30 | 5027 | ბოლონია-პარმა | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 21.00 | 5028 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,7 | 2,6 | 6,0 | 1,02 | 1,32 | 1,81 |
| 21.00 | 5029 | სევილია-ატლეტიკო | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 21.00 | 5030 | ალბასეტე-ოსასუნა | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 21.00 | 5031 | მალაგა-ვილიარეალი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 21.00 | 5032 | რეალი-ბეტისი | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| 21.00 | 5033 | ესპანიოლი-სოსიედადი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 21.00 | 5034 | სელტა-მურსია | 1,85 | 2,4 | 5,6 | 1,04 | 1,39 | 1,68 |
| 21.00 | 5035 | რასინგი-მალიორკა | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 21.00 | 5036 | სარაგოსა-დეპორტივო | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 21.00 | 5037 | ბილბაო-ბარსელონა | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 5038 | ანკონა-მილანი | 5,3 | 2,15 | 2,1 | 1,52 | 1,5 | 1,06 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

**29 აგვისტო**

23.45 6011 მილანი-პორტუ 1,45 2,3

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------------------------ კი ------------------------------------------ არა

**29 აგვისტო**

23.45 5309 მილანი-პორტუ ---------------------- 1,75 ------------------------------ 1,85

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**29 აგვისტო**

23.45 5409 მილანი-პორტუ ---------------------- 1,65 ------------------------------ 2,3

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 აგვისტო** | | | | | | | | | |
| 23.45 | 5109 | მილანი-პორტუ | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | | | | |
| 16.30 | 5110 | ევერტონი-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 5111 | ასტონ ვილა-ლესტერი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5112 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5113 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 5114 | მიდლსბრო-ლიდსი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5115 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 5116 | ტოტენჰემი-ფულემი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5117 | ვულვერ.-პორტსმუთი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 5118 | რეჯინა-სამპდორია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5119 | საუთჰემპ.-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 20.05 | 5120 | სიტი-არსენალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,6 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 5121 | ბრეშა-კიევო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 5122 | ინტერი-მოდენა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5123 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 18.00 | 5124 | ლაციო-ლეჩე | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 18.00 | 5125 | პერუჯა-სიენა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 5126 | უდინეზე-რომა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.30 | 5127 | ბოლონია-პარმა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 21.00 | 5128 | ვალენსია-ვალიადოლ. | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.00 | 5129 | სევილია-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 5130 | ალბასეტე-ოსასუნა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 5131 | მალაგა-ვილიარეალი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 21.00 | 5132 | რეალი-ბეტისი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 21.00 | 5133 | ესპანიოლი-სოსიედადი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 5134 | სელტა-მურსია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 21.00 | 5135 | რასინგი-მალიორკა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 5136 | სარაგოსა-დეპორტივო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 21.00 | 5137 | ბილბაო-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 23.30 | 5138 | ანკონა-მილანი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც იმუშავებს**

*ახალთახალი ამბავი: საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრის ვიქტორ სანიკიძის ფრანგულ „დიჟონში“ ჩარიცხვას საჭირო ქაღალდზე ერთი ხელის მოსმაღა უკლია და ალბათ ყველაფერი ასეც მოხდება. გუშინ ცნობილ სატრანსფერო კანტორა „ინტერსპორტის“ თბილისურ ოფისში კლუბ „დიჟონის“ ხელმოწერილი კონტრაქტი მიიღეს ვიქტორ სანიკიძის სახელზე. საფრანგეთის უმაღლესი ლიგის კლუბი თანახმაა, 16 წლის ქართველი გუნდში 3 წლით აიყვანოს. იგივეს ეშურება ლიუბლიანური „ოლიმპიაც“, მაგრამ თავად სანიკიძის თქმით, არჩევანს ფრანგულ კლუბზე შეაჩერებს, რადგან სლოვენიელთა მიერ შეთავაზებული პირობები დიჟონელებისასთან ახლოსაც ვერ მივა. მაშ ასე, კონტრაქტიც ჩამოსულია და არჩევანიც გაკეთებული, სანიკიძეს ვახტანგ ნაცვლიშვილის გუნდელობამდე თითქმის აღარაფერი აშორებს...*



# სანიკიძის ვიქტორია

## ნაცვლიშვილი დიჟონში მარტო აღარ იქნება

— ძალიან გახარებული ვარ. „ინტერსპორტის“ თბილისური ოფისიდან ახლახან შემატყობინეს, რომ „დიჟონის“ კონტრაქტი მიიღეს.

— **ალბათ ელოდი ამ ქაღალდებს...**

— დიჟონელებმა რომ ჩემს სახელზე სამწლიანი კონტრაქტი შეადგინეს და ხელიც მოაწერეს, ჩემი მენეჯერის, მარკ ფლეიშერის თანაშემწე ქალბატონის, რობერტა რიჩისგან ვიცოდი. ხელშეკრულებას დღე-დღეზე ველოდი და აი, მივიღე კიდეც.

— **დიჟონელებმა სად გნახეს? ეტყობა, კარგად გიცნობენ, გამზადებულ კონტრაქტს რომ გიგზავნიან...**

— კონკრეტულად სად მნახეს, არ ვიცი. ფრანგები რომ ჩემით იყვნენ დაინტერესებულნი, დიდი ხანია, ვიცოდი. ვახტანგ ნაცვლიშვილი რომ პორტუგალიიდან წამოვიდა და „დიჟონთან“ გააფორმა კონტრაქტი, მაშინ ამბობდა, ფრანგებს კიდევ ერთი ქართველის გადაყვანა სურთო. „დიჟონის“ წარმომადგენლებს საქმეში ტრევიზოს კემპზე უნდა ვენახეთ, მაგრამ მაშინ ტრავმა მივიღე. ალბათ მანამდე კადეტთა ან ჭაბუკთა ნაკრებში თამაშისას მნახავდნენ. ისე კი, ჩემი თამაშის ბევრი კასეტა აქვთ.

— **აქამდე ცნობილი იყო, რომ „ოლიმპიაში“ გადადიოდი...**

— „ოლიმპია“ ერთ-ერთი ვარიანტი იყო. სლოვენიელებიც თანახმანი იყვნენ ჩემთან კონტრაქტის გაფორმებაზე, ოღონდ არცთუ მისაღებ პირობებს მთავაზობდნენ. გაცილებით ხანგრძლივ საკონტრაქტო ვადას მიწესებდნენ და ხელფასსაც დიჟონელებზე ცოტას მპირდებოდნენ. სიმართლე ვთქვა, „ოლიმპიაში“ გადასვლა მიჯობს, ლიუბლიანელებს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა აქვთ, მაგრამ უკეთესი პირობების გამო „დიჟონთან“ კონტრაქტს მოვაწერ ხელს.

— **გადაწყვეტილება საბოლოოა?**

— მხოლოდ მაშინ ვიტყვი უარს, თუ „ოლიმპიამ“ შემოთავაზებული პირობები გააუმჯობესა. თუმც არა მგონია, სლოვენიელებმა ასე ოპერატიულად იმოქმედონ, დღეს-ხვალ ხომ „დიჟონთან“ კონტრაქტს მოვაწერ ხელს.

— **„დიჟონის“ გამოგზავნილი ხელშეკრულება უკვე ნახე?**

— ჯერ არა, ახლა მივდივარ „ინტერსპორტის“ ოფისში და სრულ ვარიანტს იქ გავეცნობი. ისე კი, რობერტა რიჩისგან თითქმის ყველა პირობა ვიცი. სამწლიანი კონტრაქტია, ბინა, ხელფასი... რაც მთავარია, ამ სამი წლის მანძილზე თუ რომელიმე ძლიერმა კლუბმა მოისურვა ჩემი გადაყვანა, დიჟონელები გაცილებით მცირე საკომპენსაციო თანხას მოითხოვენ, ვიდრე ოლიმპიელები.

— **საქართველოში ვინაა სააგენტო „ინტერსპორტის“ წარმომადგენელი?**

— ზურაბ ბოქოლიშვილი. „ინტერსპორტს“ თითქმის ყველა ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენელი. მარკ ფლეიშერი კი ამ სააგენტოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მენეჯერია.

— **დიჟონელებს რომელ პოზიციაზე უნდიხართ? შენ და ვახტანგ ნაცვლიშვილი ერთი ამპლუისანი არა ხართ?**

— სიმართლე გითხრა, წესიერად მეც არ ვიცი, რომელ პოზიციაზე ვარ ყველაზე სასარგებლო. გამთამაშებლის გარდა ყველგან ვთამაშობ. ხან მსროლელად მამწესებდნენ, ხანაც ცენტრად. „აკადემიაში“ ძირითადად ფორვარდი ვიყავი, ახლახან სლოვაკეთში, ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე კი ცენტრად მათამაშეს.

— **უკვე შეგვიძლია, დიჟონელად ჩაგთვალოთ?**

— თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ან ვთქვათ, „ოლიმპიამ“ ფრანგებზე უკეთესი კონტრაქტი არ შემომთავაზა, დღეს-ხვალ დიჟონელი გავხდები.

**ირაკლი ბერტაია**





ლარი ბერდი და აიზია ტომასი: ორი დიდი ერთ კლუბში ვერ დაეტია

# ლარი ბერდმა აიზია ტომასს სკამი გამოაცალა

**დიადმა** ლარი ბერდმა „ინდიანა პეისერზში“ საკალათბურთო ოპერაციების მწარმოებლად მუშაობა იმით დაიწყო, რომ ასევე დიადი აიზია ტომასი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა.

ბერდი „ინდიანას“ საქმეები 11 ივლისს ჩააბარეს. ამ ცოტა ხნის წინ „დიდმა კელტმა“ თქვა, კლუბის წარმატებულ მომავალს ტომასით ვერ ავაშენებთო და „ინდიანას“ პრეზიდენტმა დონი უოლშმაც გუშინწინ გამოაცხადა, აიზია ტომასი თავისუფალიაო.

„მე და ლარიმ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მივიღეთ ტომასის გუნდიდან გაშვების გადაწყვეტილება. ეს ძალიან რთული და თამამი ნაბიჯი იყო, მაგრამ ღლეისთვის ასე ჯობს. ახალი სამუშაოს მოსაძებნად აიზიას თვეზე მეტი დრო რჩება“ — განაცხადა უოლშმა.

ტომასმა სამი სეზონი უთავკაცა „ინდიანას“ და სამჯერვე პლეი ოფში გაიყვანა. ეგაა, ტომასისეულ „პეისერზს“ პირველივე წრეში ცივ შხაპს ავლებდა მეტოქე. ტომასს დამსახურებად ჩაეთვლება ჯერმენ ონილისა და რონ არტესტისგან ყოჩაღი კალათბურთელების გამოძერწვა, ასევე ზორბა ბრედ მილერის მეოლსტარე ცენტრად ქცევა.

არადა, „ინდიანამ“ ბოლო სეზონი ისე მძლავრად დაიწყო, ხალხი ტომასის გუნდიდან გაშვებაზე კი არა, მის წლის მწვრთნელად აღიარებაზე თუ ფიქრობდა. 37 მოგება 15 მარცხის წილად — შუა სეზონში ინდიანელები ამ მაჩვენებლით აღმოსავლეთ კონფერენციას ლიდერობდნენ... შემდეგ გუნდის წევრებს პირადი საქმეები აეწეწათ, ჯამაალ ტინსლის დედა გარდაეცვალა, ონილის მამამ თავი მოიკლა, არტესტის მოედანზე სიშმაგეს კი ზღვარი არ დაედო და რეგულარული ჩემპიონატიც ბოლო 30-დან 19 წაგებული მატჩით ჩაამთავრეს ინდიანელებმა.

პლეი ოფშის პირველივე შემხვედრ „ბოსტონსაც“ თეთრი დროშა აუფრიალეს ინდიანელებმა და ენერგიული ახალგაზრდა მწვრთნელის სავარძელსაც მაშინ შეუდგა წყალი.

ტომასი ალბათ ნაწყენია, რაკილა დეტროიტში ჩასულმა კომენტარი არ დაურთო მომხდარს. მის შემცვლელად „დეტროიტის“ მწვრთნელყოფილს, რიკ კარლაილს ასახელებენ.

**ირაკლი ბერტაია**

# არგენტინელების ვენესუელობა

## ჯინობილის ნეში ელის

**პუერტორიკოულ** სან ხუანში მიმდინარე საოლიმპიადო მარათონში გუშინწინ მცირე სენსაცია მოხდა: უსახელო ვენესუელამ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი არგენტინა დაამარცხა.

ამ შედეგს ზორბა სენსაცია იმ შემთხვევაში დაერქმეოდა, არგენტინელებს ოლიმპიადაზე გაღწევის შანსი რომ წართმეოდათ, მაგრამ ემანუელ ჯინობილის ძმაბიჭებს რვაგუნდთა ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩის წაგების შემთხვევაშიც კი დაბევებული აქვთ პლეი ოფი. არგენტინელებმა ეს, ცხადია, იცოდნენ და მეზობლ ვენესუელებთან თავი აღარ გამოუდვიათ.

შემდეგ ეტაპზე ოთხი საუკეთესო ნაკრები გადის. ამერიკამ მექსიკელთა გაბითურებით ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა და პლეი ოფის ნახევარფინალში მეოთხეზე გასულს შეხვდება. ნახევარფინალში ნბა-ელთა მეტოქე ალბათ პუერტო რიკო იქნება, რადგან ბოლო ტურშიც სწორედ ეს წყვილი თამაშობს და მასპინძლებს უეჭველი წაგება, ესე იგი, ჯგუფში მეოთხე ადგილი აქვთ გამოწერილი.

გუშინწინ ვენესუელელებთან სალაბუცოდ გასულ მანუ ჯინობილის არგენტინას კი ნახევარფინალში დალასელი სტივ ნეშის კანადა შეეხლება და ომიც ის იქნება.

ნახევარფინალები ხვალ გაიმართება, საპირველო და ბრინჯაოს მატჩები კი ზეგ. 2004 ათენის ოლიმპიადის საგზური სამ საუკეთესო ნაკრებს ერგება.

**სატურნირო ვითარება**

| | თამაში | მოგება |
|---|---|---|
| აშშ | 6 | 6 |
| კანადა | 6 | 4 |
| პუერტო რიკო | 6 | 4 |
| არგენტინა | 6 | 3 |
| ბრაზილია | 6 | 2 |
| მექსიკა | 6 | 2 |
| ვენესუელა | 6 | 2 |
| დომინიკ. რეს. | 6 | 1 |



REUTERS სან ხუანიდან

ვენესუელასთან შერცხვენილი ძლდა მანუ ჯინობილის

## US OPEN 2003 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 17 074 000 $

### პირველი წრე

**კაცები**

**როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 5:7, 6:3, 6:3, 2:0 აკასუსომ შეწყვიტა; **კარლოს მოია** (7, ესპანეთი) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 4:6, 6:4, 7:5, 7:6 (8:6); **ირჟი ნოვაკი** (10, ჩეხეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 3:6, 6:3, 5:7, 6:2, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (13, არგენტინა) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:4, 7:6 (7:4), 6:3; **მარკ ფილიპუსისი** (20, ავსტრალია) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:2, 7:6 (7:4), 6:4; **იუნეს ელ აინაუი** (22, მაროკო) — ალექს კიმი (აშშ) 7:5, 7:6 (7:5), 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — მარიანო საბალეტა (27, არგენტინა) 7:6 (7:4), 6:3, 6:2; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — გასტონ გაუდიო (30, არგენტინა) 6:3, 6:3, 6:2; **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ემერ დელიჩი (აშშ) 4:6, 6:3, 6:7 (3:7), 6:2, 7:5; **ჟან-რენ ლინარი** (საფრანგეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:2, 6:2, 6:7 (4:7), 0:6, 7:6 (7:4); **ჟან-მიშელ გემბილი** (აშშ) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:2, 6:2; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 6:3, 6:3; **ანტონი დიუპუი** (საფრანგეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 5:7, 6:4, 3:6, 6:3, 7:5; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:2, 6:3, 6:1; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ნიკოლა მაუ (საფრანგეთი) 6:2, 6:4, 7:5

### მეორე წრე

**ქალები**

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:2, 6:4; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — სტეფანი კოენ ალორო (საფრანგეთი) 6:2, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 6:0, 7:6 (7:5); **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — კონჩიტა მარტინესი (12, ესპანეთი) 7:5, 6:4; **ვერა ზვონარიოვა** (13, რუსეთი) — ემლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:3, 4:6, 6:1; **ამანდა კუცერი** (14, სამხრეთ აფრიკა) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 3:6, 7:5, 6:2; **მეგან შონესი** (17, აშშ) — მაია მატევჟიჩი (სლოვენია) 6:3, 7:5; **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) — პატი შნიდერი (18, შვეიცარია) 6:4, 6:3; **ნადია პეტროვა** (19, რუსეთი) — დენიზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:2; **პაოლა სუარესი** (24, არგენტინა) — მილაგროს სეკერა (ვენესუელა) 6:1, 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (27, რუსეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:3, 6:3; **მელინდა ჩინკი** (უნგრეთი) — ლიზა რეიმონდი (28, აშშ) 4:6, 6:4, 6:1; **ფაბიოლა სულუაგა** (კოლუმბია) — მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) 7:5, 6:3; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 3:6, 7:6 (7:4), 7:5; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) 7:5, 6:3

# მთქნარების დღე



ხელმოკლე ტამარინე ტანასუგარნთან წაგებამ პატი შნიდერს გული ეეჰ, როგორ დასწყვიტა

**ემოციებით** მდიდარი და დატვირთული პირველი დღეების მერე ეს დღე ოდნავ უფერული გამოდგა. ლიდერებმა თავიანთ მეტოქეებს კვლავ უპრობლემოდ აჯობეს და, თუკი აქა-იქ ჩოგნების ჭახა-ჭუხი მაინც ისმოდა, ისიც — ისე-რა და არაფავორიტ მობურთალთა შეხლებში.

საქმეში ჩაერთო და ბოლოდროინდელი მატჩების დარად ქომაგზე კვლავ ორგემაგე შთაბეჭდილება დატოვა წლევანდელი უიმბლდონის გამარჯვებულმა როჯერ ფედერერმა.

მსოფლიო რეიტინგსიის 75-ეადგილოსან ხოსე აკასუსოსთან, რომელსაც აპრილის მერე მხოლოდ ერთი მატჩი მოეგო და უკანასკნელ შვიდ ტურნირზე ექვსჯერ პირველსავე წრეში იძლია, მას ყველა უოფლო და გაურჯელ, ანუ სხვაგვარად — სეტისწაუგებლად გამარჯვებას ალუთქვამდა.

ანგარიშზეც დაატყობთ, ერთი სეტის დათმობა შეხვედრის დასაწყისში ოდნავ მობოშებულ ფედერერს მაინც მოუხდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დახვეწილი ალპელი ამ წაფორხილებას არ აურევია — მიშვებული სადავეები სლემტიტულოსნისთვის შესაფერი სიმშვიდით უკუიპყრო და, გაუჩოსთვის მატჩი კრუნჩხვებს რომც არ შეეწყვეტინებინა, საქმე ისედაც მალე მოყომარდებოდა.

ანალოგიური სცენარით წარიმართა მეშვიდე ნომრად განთესილი კარლოს მოიასა და უსახელო ავსტრალიელ სკოტ დრეიპერის შეხლაც. ოღონდ, ფედერერისგან განსხვავებით 27 წლის ესპანელს წაგებული სეტის მერე უფრო ოფლიანად გარჯა მოუხდა. ამ მატჩის ბედი მოიას მეორე მოწოდებამ გადაწყვიტა, რომელსაც ის საშუალოდ საათში 100 მილის სიჩქარით აყუმბარებდა.

მდედრთა მხარეზე კი ზეათეულელ მეჩოგნეებს ჯამში ერთი სეტიც არ დაუთმიათ.

თავისი მორიგი მსხვერპლის, უსახელო ამერიკელ ლაურა გრენვილის მონელებას ამჟამინდელმა ზედიაცმა კიმ კლაისტერსმა სულ რაღაც 49 წუთი მოანდომა.

მასზე თერთმეტი წუთით მეტი დასჭირდა ფრანგ ამელი მორესმოს თვისტომ სტეფანი კოენ-ალოროს ჩოქბჯენში გადასაყვანად. ჯანიანი ლესბოსელი შარშანდელი ნახევარფინალისტია და ნაკლების მიღწევას არც წლეულს გეგმავს — მით უფრო, რომ ნეკნის ტრავმა, რამაც წლევანდელი უიმბლდონი გამოატოვებინა, ამ მომენტისთვის ბოლომდე მოშუშებული აქვს.

კვლავაც ანთებულნერვიანი ფეხით ჩოგნობს ტურნირის 1998 წლის ჩემპიონი ლინდსი დევენპორტი, ვინაც ამ ჯერზე უსახელოზე უსახელო იტალიელი მარია ელენა კამერინი გაამასქნა.

27 წლის სამგზის სლემტიტულოსანი ზორბა ამერიკელი ნამატჩევს ირწმუნებოდა, ფეხი საერთოდ არ მაწუხებსო, მაგრამ, ვინძლო, არც თქვენ დაგვიწყებიათ — სწორედ ამ მაკვარანცხი ნერვის გამო იყო, გასულ შაბათს მან ჯენი კაპრიატის წინააღმდეგ ნიუჰეივენური ფინალი ბოლომდე რომ ვერ მიიყვანა.

**ლევან ძელაურაძე**

# მინდა ტაისონი ვიყო

## შავდური ფონი


სერენა უილიამსი მსოფლიოს ემუქრება

უკანასკნელი 13 სლემტურნირიდან ჯამში ცხრის მომგები შავდა უილიამსების არყოფნა აშშ-ის წლევანდელ ღია პირველობას ერთდროულად ხიბლს აკლებს და მატებს კიდეც. აკლებს იმიტომ, რომ, როგორც ჯენიფერ კაპრიატიმ თქვა: „ეს ტურნირი ვინც უნდა მოიგოს, მას ტიტულს მაინც გაუუფერულებენ — შენ ხომ უილიამსებისთვის არ გიჯობნიაო."

ხოლო მატებს იმიტომ, რომ შავდურ კომპლექსმოხსნილი გოგონები ახლა უფრო თავისუფლად გაირჯებიან და უფრო თამამად გვანახებენ იმას, რისი ჩვენების საშუალებასაც აქამდე სერენასა და ვინუსის კორტის შემვსები სხეულები არ აძლევდათ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მამა რიჩის ქალაშავები იმ დღეს მასმედიას გაესაუბრნენ.

„კორტს გაცილებით უკეთეს მეჩოგნედ დავუბრუნდები — თქვა სერენამ — მუხლი ნელ-ნელა მიშუშდება და მჯერა, აღარასოდეს შემაწუხებს. არადა, ეს ტრავმა მუდამ უდიდეს პრობლემებს მიქმნიდა... სწორედ ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ამიერიდან უფრო უკეთესად ვითამაშებ."

„ჰო, გაცილებით უფრო ძლიერი ვიქნები და თანაც — კიდევ უფრო ბრაზიანი. ვაპირებ, საერთოდ მთელი ჩემი სათამაშო განწყობა შევცვალო. მინდა, კორტზე მაიკ ტაისონივით ვიყო... ჰა-ჰა-ჰა, ცხადია, გეხუმრებით."

შეგახსენებთ, რომ მუხლის ოპერაცია უმცროსმა შავდამ 1 აგვისტოს გადაიტანა, მუცლის კუნთდაჭიმული ვინუსი კი სატურნირო ბადეში ბოლომდე იყო და კორტზე გასვლა მხოლოდ უკანასკნელ მომენტშიღა იუარა.

„იმედი მქონდა, პირველობას რამდენიმე კვირით გადაიტანდნენ — ხუმრობდა ისიც — ორი-სამი კვირის შემდეგ ეგებ მეც შემძლებოდა თამაში. მაგრამ რად გინდა, ჩემი ეს იდეა არავინ მიიღო. ისე კი, მართლაც გული მწყდება, აქ თამაშს რომ ვერ ვახერხებ."

ის, თუ როდის მობრუნდებიან ისინი კორტზე, ზუსტად ჯერ არავინ იცის. თუმცა, სავარაუდოდ, ეს ალბათ ნოემბერში, ლოს ანჯელესში გასამართ წლის შემაჯამებელ ჩემპიონატზე მოხდება.

მანამდე კი ისევ სერენას ვუსმინოთ:

„როცა სლემტურნირებს ვერ ვიგებდით, ხალხი იძახდა: როდის აპირებენ ისინი ამის გაკეთებას? როცა ამის კეთება დავიწყეთ, კრიტიკოსები ახლა ასე ალაპარაკდნენ: კი მაგრამ, ეს ხომ ცუდია ჩოგბურთისთვის. მე კი ისე მგონია, რომ ჩვენ ჩოგბურთის პოპულარიზებისთვის ძალიან ბევრი გავაკეთეთ."

„აქა-იქ ამბობენ, რომ ჩვენი არყოფნა აშშ-ის ღია პირველობას მნიშვნელობას უკარგავს. ეს ასე არ არის. ამქარში ბევრი კარგი მოთამაშე და კარგი პიროვნებაა. ქომაგს ისინი უჩვენოდაც არ მოაწყენენ."

„თუმცა ვერც იმას დავმალავ, რომ ტურნირი უჩვენოდ ცოტა მშრალი იქნება. ეს რომ არ მეთქვა, მოვიტყუებდი. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, არც ისეა საქმე, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ და სხვა არავინ."

ვინუსი: „ჩოგბურთს ჩვენ მართლაც ბევრი რამ შევმატეთ. სიჩქარე იქნებოდა ეს, ბრძოლა, ჟინი, მოწოდება თუ ჩაცმულობა... რატომ ვლაპარაკობ წარსული დროით? არა, არა, მე არსად წასვლას არ ვაპირებ. მიყვარს, რასაც ვაკეთებ და სულ მცირე, 33 წლამდე მაინც ვითამაშებ. დიახ, ამაზე ბევრი მიფიქრია და გადაწყვეტილი მაქვს — კორტს კიდევ 10 წელი არ შევეშვები."

სერენა: „თუ წავალთ, ერთად წავალთ. მე მიყვარს თამაში, მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, ხალხის გადარევა... არა, ათი წელი ნაღდად გავუძლებ."

თუმცა ისინი ოდნავ შემეჩხრებული პირადი გრაფიკების გადატვირთვას მაინც არ აპირებენ: „ჩვენ სხვა ინტერესებიც გვაქვს და არ გვსურს, ყოველკვირეული ჩოგნაობით ჩოგბურთიც მოვიყირჭოთ და სხვა საქმეთა კეთების საშუალებაც მოვისპოთ."

„სხვა საქმეებში" შავდა უილიამსები მემოდელეობას გულისხმობენ — კოხტაპრუწა სამოსლის ჭრა-კერვა ორივეს საყვარელი გართობაა და მილეთის თვალწინ ხშირად სწორედ თავიანთი პროდუქციით დაშილიფობენ.

მე თქვენ გეტყვით და — ან ფერი აკლიათ, ან ხორცი.

# კუჭის ჯანყი

**პირველდღეთა** უმთავრესი ღადავი ის იყო, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა ქომაგებს კორტებზე საჭმლის შეტანა აუკრძალეს. ჰო — ჩადგნენ პოლიციელები შესასვლელებთან და ვის პურში ჩადებული ცივი კოტლეტი გადაუგდეს და ვის პარკით შესაგზლებული „აკროშკა".

სხვათა შორის, საკვებგანძარცულთა შორის ტურნირის ორგზის ჩემპიონი, ავსტრალიელი პატრიკ რაფტერიც აღმოჩნდა.

მოკლედ — არაფერს შეგატანინებთო.

წინა წლებში აკრძალვა მხოლოდ სასმელზე ვრცელდებოდა. ქომაგიც როგორღაც დაეჩვია ხუთსეტიანი განდაგანების უკოკაკოლოდა და ჩაკიდულის გარეშე ყურებას. მაგრამ უკოტლეტოდ ტრიბუნაზე ჯდომა მაინც ძნელი წარმოსადგენი გამოდგა.

ამიტომაც მილეთმა დიდი ჯანყი მოაწყო. რაკილა ტურნირის მამებმა დაატყვეს, რომ უკოტლეტობას უმაყურებლობის აჩრდილიც თანსდევდა, უმალ მორბილდნენ და ჩათრევას ისევ ჩაყოლა არჩიეს.

ეგ მით უფრო, რომ მრავალთა მიერ გახმაურებული აზრით, გარე საგზალი იმიტომ იყრებოდა, რათა მილეთს საკუთრივ საჩოგნეთური სანოვაგე გაესაღებინა.

და, იცით, რა ღირს იქაური სასუსნავი?

ერთ სამმაგ სენდვიჩში 18,50 დოლარი უნდა გადაიხადო, ინდაურისხორციანი ბუტერბროდი 9 დოლარად ფასობს, ხოლო სიაფანდად შემწვარი ხრაშუნა კარტოფილი, რასაც იქ ფრანგულს ეძახიან, 6,50 დოლარი გიჯდება.

არა, ძმაო, არც ერთი გენიოსი ჩოგბურთელის ტრიბუნიდან ყურება მაგდენ ფულად არ უნდა ღირდეს...

სხვაფრივ — კაი მეგრულ კუჭმაჭს კაი ცივი არაყი უხდება.

თქვენ როგორ ფიქრობთ?!

*ორ ფრანგულ კლუბთან მარცხნაჭამი საქართველოს ნაკრები მონპელიეში დაბრუნდა და ავსტრალიის მსოფლიოს თასისთვის მზადება გააგრძელა.*

*ქართველები ტრადიციულად სასტუმრო „მეჟანში" დაბინავდნენ. ჩვენებური მორაგბეებისთვის ეს სასტუმრო ლამის სახლად ქცეულა, ბორჯღალოსანთა შეკრებისთვისაც არაერთხელ უმასპინძლია და საქართველოდან საფრანგეთში გუნდის საძებნად წასული ბიჭებიც ხშირად შეუფარებია*

# ბორჯღალოსნები შინ არიან
# სორელმა ქართველები იტალიურად დაალაგა

„პირობები იდეალური არა, მაგრამ ასატანია — გვითხრა საქართველოს ნაკრების მენეჯერმა გია ჭუმბურიძემ, როცა მონპელიეში დავუკავშირდით — ყველაფერი რიგზეა, თუ არ ჩავთვლით მცირე ტრავმებს."

ბორჯღალოსნების უშუალო სავარჯიშო ბაზა მონპელიეს მახლობელ სოფელ მოგიოში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე კლოდ სორელი სწორედ მოგიოში მუშაობდა და ბევრმა ქართველმა, მათ შორის ვიქტორ დიდებულიძემ, ვასილ კაცაძემ და ირაკლი მოდებაძემ, სწორედ იქ თამაშით დაიწყეს თავიანთი ფრანგული კარიერა.

ბორჯღალოსნები თავიანთ შემდგომ მატჩს 6 სექტემბერს იტალიის ეროვნულ გუნდთან გამართავენ. ნაკრებს ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან დავით ბოლღაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი და ირაკლი გუნდიშვილი. ამ უკანასკნელს ბარძაყის კუნთი ორ ადგილას აქვს გაწყვეტილი და სრული აღდგენისთვის 2-3 კვირა სჭირდება. აგრეთვე საეჭვოა თბილისის შვიდკაცა ტურნირზე თავგამოჩენილი ირაკლი მაჩხანელის თამაშიც, რომელმაც ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო.

იტალიაში გამგზავრებამდე ნაკრებს ბეზიეში მოთამაშე ქართველები — გოდერძი შველიძე და ვანო ნადირაძე შეუერთდებიან. მათგან განსხვავებით, ნაკრებს პირადი პრობლემების გამო ვერ დაეხმარებიან სხვა ბეზიელები ტარიელ რატიანიძე და დავით ხინჩაგაშვილი.

იტალიაში წასვლამდე ბორჯღალოსნები მარსელში შეივლიან, სადაც საფრანგეთსა და ინგლისისს შორის მატჩს დაესწრებიან.

**არჩილ ჭუმბურიძე**

**ბორჯღალოსანთა სავარაუდო საიტალიო შემადგენლობა**

1 ავთანდილ კოპალიანი
2 აქვსენტი გიორგიძე
3 ალექსანდრე მარგველაშვილი
4 ვიქტორ დიდებულიძე
5 ზურაბ მჭედლიშვილი
6 გიორგი ჩხაიძე
7 გრეგუარ იაშვილი
8 ილია ზედგინიძე
9 ირაკლი აბუსერიძე
10 დავით კიკნაძე
11 მალხაზ ურჯუკაშვილი
12 ირაკლი გიორგაძე
13 თედო ზიბზიბაძე
14 ირაკლი მაჩხანელი
ან გოჩა ხონელიძე
15 ბესიკ ხამაშურიძე

სათადარიგოები: *გოდერძი შველიძე, დავით დადუნაშვილი, ვანო ნადირაძე, გია ლაბაძე, ირაკლი მოდებაძე, არჩილ ქავთარაშვილი ან პალიკო ჯიმშელაძე*




კლოდ სორელმა კარგა ხნით ადრე შეარჩია საიტალიო შემადგენლობა

# სამხრეთ აფრიკის უსაშველო იზმი
# ესევ შავი და თეთრი

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრებში რასიზმმა იფეთქა. „ქურციკების" 23 წლის ახალწვეული გეო კრონჯე ნაკრების შეკრებიდან დაითხოვეს, რადგან მან ფერადკანიან თანაგუნდელ კვინტონ დევისთან ერთად სასტუმროს ნომერში ცხოვრება იუარა.

არადა, ორივე მორაგბე ერთი ამპლუისაა, ისინი შერკინების მეორე ხაზში ერთმანეთის გვერდიგვერდ ხელიხელგადახვეულები დგანან და კრონჯეს აქამდე არ გაუმჟღავნებია შავკანიანის მიმართ ზიზღი. მაგრამ, როცა ორივე ერთ ოთახში დააბინავეს, ეს კი აღარ ესიამოვნა და გუნდის ავტორიტეტულ ვეტერანს იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენს სთხოვა, რამე მომიხერხეო. იმანაც პრობლემა მარტივად გადაჭრა, კრონჯე თეთრკანიანთან შეასახლა, ხოლო კვინტონ დევისი მისივე ფერის მორაგბეს, კვობანი ბობოს შეუწყვილა.

მაგრამ ამ ამბავმა ასე მარტივად არ ჩაიარა. მოღვაწე ძიებმა რასიზმის სუნი იყნოსეს და ერთი უშველებელი ატეხეს. სამხრეთ აფრიკული რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა რაიან ობერჰოლზერმა საქმეში ქვეყნის სპორტის მინისტრი ჩარია და განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკა რასიზმს ებრძვის და ამ შემორჩენილი სენის არანაირ გამოვლინებას არ დაუშვებს. ამიტომაც გეო კრონჯე ყველას დასანახათ დასაჯეს, უყოყმანოდ დაითხოვეს შეკრებიდან.

აქაოდა, ფერადკანიანებს ჩაგრავენო, საქმეში ჩაერია თავის დროზე პირველი შავკანიანი „ქურციკი", 1995 წელს მსოფლიოს თასის თეთრებთან ერთად ამწევი ჩესტერ ვილიამსი და განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკაში რასიზმის გადავარდნის მიუხედავად, რაგბიში ხშირად ახსოვს ფერადკანიანთა ჩაგვრის ფაქტები.

ამასობაში კი ახლოვდება დრო, როდესაც „ქურციკთა" მთავარმა მწვრთნელმა რუდი სტრაულიმ 35-კაციანი ჯგუფიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი 30 მოთამაშე უნდა შეარჩიოს. ჩინოსანთა მიერ დაწესებული კვოტების გათვალისწინებით, ამ 30 კაციდან 6 აუცილებლად ფერადკანიანი უნდა იყოს.



**მსოფლიოს ჩემპიონატი პარიზი. 23 - 31 აგვისტო**

# დედოფალს ძილი მოერია



კელი ვაიტი ისტორიას ქმნის

**ამერიკელ** კელი ვაიტს შეუძლია, თავს სპორტის დედოფლის ახალი დედოფალი უწოდოს, ხოლო სანამ თავად უწოდებს, საინფორმაციო ელვა-კანტორებმა მონათლეს ასე, როცა ვაიტმა მოიგო ქალთა 200 მეტრის ფინალი.

მანამდე ვაიტმა 100 მეტრზეც იჩემპიონა, ასე რომ, ის დღევანდელ მსოფლიოში უსწრაფესი ქალია. ერთ ჩემპიონატზე ეს ორივე დისციპლინა გერმანელი კეტრინ კრაბეს 1991 წელს ტოკიოში მოგების შემდეგ არავის გაუთავისებია. „ახლა კი შემიძლია წავიდე და მშვიდად დავიძინო" — თქვა დედოფალმა, რომელიც კორონაციამდე ბევრს ნერვიულობდა და გამარჯვების შემდეგაც ძლივს დამშვიდდა.

28 აგვისტო ძირითადად ქალების დღე იყო, სუსტი სქესის არცთუ სუსტმა „წარმომადგენლებმა" მედლების კიდევ ორი კომპლექტი გაათამაშეს. ავსტრალიელმა იანა პიტმენმა აჯობა ამერიკელ სანდრა გლოვერსაც და რუს იულია პეჩონკინასაც და 400 თარჯებით გაწყობილი მეტრი საჩემპიონო დროში გაილია. სხვათა შორის პეჩონკინა მსოფლიოს რეკორდსმენი გახლავთ.

ასევე იოლად იძალა კუბელმა უროს მტყორცნელმა დედაკაცმა იპსი მორენომ. მან რუს დევქალ კუზენკოვაზე ბარე მეტრნახევრით შორს მოისროლა ურო.

რაც შეეხებათ კაცებს, მათ მხოლოდ ჭოკით ხტომის ფინალი გამართეს, რომელიც მოულოდნელად მოიგო იტალიელმა ჯუზეპე ჯიბილისკომ. სანამ ჩემპიონი გახდებოდა, ჯიბილიკოს ცხოვრებაში არ დაუძლევია 5,82 მეტრზე მეტი, ახლა კი ერთბაშად 5,90 მეტრს გადაევლო და დანარჩენი მეჭოკეები ბარე 5 სანტიმეტრით დაბლა დატოვა.

**28 აგვისტო**

**ქალები**

**200 მ**

1 კელი ვაიტი (აშშ) 22.05 წმ
2 ანასტასია კაპაჩინსკაია (რუსეთი) 22.38 წმ
3 ტორი ედვარდსი (აშშ) 22.47 წმ

**400 მ წინაღობებით**

1 იანა პიტმენი (ავსტრალია) 53.22 წმ
2 სანდრა გლოვერი (აშშ) 53.65 წმ
3 იულია პეჩონკინა (რუსეთი) 53.71 წმ

**უროს ტყორცნა**

1 იპსი მორენო (კუბა) 73.33 მ
2 ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) 71.71 მ
3 მანუელა მონტებრუ (საფრანგეთი) 70.72 მ

**კაცები**

**ჭოკით ხტომა**

1 ჯუზეპე ჯიბილისკო (იტალია) 5.90 მ
2 ოკერტ ბრიტსი (სამ. აფრიკა) 5.85 მ
3 პატრიკ კრისტიანსონი (შვედეთი) 5.85 მ

# დრამონდი მრთხმლავ გააგდეს

**ძვირად დაუჯდა** ჯონ დრამონდს მანჭვა-კოტრიალი და ხელების შლა. შეგახსენებთ, რომ მოხუცმა ამერიკელმა სპრინტერმა 100 მეტრის საკვალიფიკაციო გარბენში ორი ფალსტარტის შემდეგ უარი თქვა სარბენი ბილიკების დატოვებაზე, პროტესტის ნიშნად შუა გზაზე წამოწვა და თითქმის საათით შეაფერხა რბოლა.

დრამონდს ამ სცენებს, ცხადია, არავინ შეარჩენდა. **შფფა**-ის დიდმოხელეებმა გაჯიუტებული მოხუცი მსოფლიოს ჩემპიონატიდანაც მოკვეთეს და ერთი წლითაც დაუხურეს ოფიციალური ტურნირების კარები, ბერიკაცი ცოტა დამშვიდდება და აზრზე მოვაო. მაგრამ დრამონდს ეს ნაღდად ვერ დაამშვიდებს, ის 34 წლისაა და წელი კი არა, კარიერის ბოლო თვეებს ითვლის.

გულჩაწყვეტილმა ვეტერანმა ხელი ფანებისკენ გაიშვირა და გულისტკივილით წარმოთქვა ამაღელვებელი ფრაზები: „ჩემი სულისკვეთება გატეხილია. მე მინდოდა, გამეხარებიან ჩემი ფანები, მაგრამ უიღბლო ადამიანი ვარ და არ დამცალდა. თუმც თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ჩემს საყვარელ სპორტს 15 წელი ერთგულად ვემსახურე. ბილიკიდან სპრინტის კეთილ ელჩად წავალ."

გაუმართლა ამერიკის ნაკრებს, დრამონდი მსოფლიოს ჩემპიონატიდან რომ მოკვეთეს. ამერიკელებს იგი 4X100 მეტრზე ესტაფეტაში სამონაწილეოდ ჰყავდათ შეგულებული და ახლა მშვიდად მოძებნიან ვინმე ისეთს, ვინც დრამატულ სცენებს არ გამართავს და **შფფა**-ის ოფიცრებს ისტერიკას არ მოუწყობს.




ჯონ დრამონდს ჯიუტობა ძვირად დაუჯდა



ლინი 6:0 რუნავიკი. ელდარ ჰაჯიმეჰმედოვიჩმა ექვსგოლიანი ბენეფისი მოიწყო

# უეფას თასი

UEFA CUP — საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლევსკი (ბულგარეთი) 2:0 ატირაუ (ყაზახეთი) (4:1)
სტიაუა (რუმინეთი) 0:0 ნემანი (ბელარუსი) (1:1)
ლოკერენი (ბელგია) 3:1 დინამო (ალბანეთი) 4:0
დებრეცენი (უნგრეთი) 2:1 დ.დ. (1:1) ეკრანასი (ლიტვა) (1:1)
ვარტექსი (ხორვატია) 3:2 ლევადია (ესტონეთი) (3:1)
კატოვიცე (პოლონეთი) 1:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) (0:0)
იანგ ბოისი (შვეიცარია) 2:2 მიუკა (ფინეთი) (2:3)
ბელასიცა (მაკედონია) 0:5 კუბლიკუმი (სლოვენია) (2:7)
გრინდავიკი (ისლანდია) 1:1 კერნტენი (ავსტრია) (1:2)
დომანანო (სან მარინო) 0:4 ტორპედო (რუსეთი) (0:5)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:1 პეტრჟალკა (სლოვაკეთი) (0:1)
დერი სიტი (ირლანდია) 0:3 აპოელი (კვიპროსი) (1:2)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 3:0 ქუიმბრან თაუნი (უელსი) (3:0)
კამენ ინგრადი (ხორვატია) 7:0 ეტცელა (ლუქსემბურგი) (2:1)
სანტა კოლომა (ანდორა) 1:4 ესბიერგი (დანია) (0:5)
მეტალურგსი (ლატვია) 1:1 დინამო (რუმინეთი) (2:5)
შირაქი (სომხეთი) 0:2 ნორდსიელანდი (დანია) (0:4)
დანდი (შოტლანდია) 4:0 ვლაზნია (ალბანეთი) (2:0)
კლაქსვიკარი (ფარერები) 0:4 მიოლდე (ნორვეგია) (0:2)
დნიპრო (უკრაინა) 1:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი) (1:0)
ზიმბრუ (მოლდოვა) 2:0 ლიტექსი (ბულგარეთი) (0:0)
ლეირია (პორტუგალია) 5:0 კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) (1:2)
ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:0 ბირკირკარა (მალტა) 5:0
პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) 0:2 მალმიო (შვედეთი) (0:4)
ნისტრუ (მოლდოვა) 2:3 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (0:5)
შელბურნი (ირლანდია) 2:3 ოლიმპია (სლოვენია) (0:1)
დინამო (ბელარუსი) 0:2 ბრონდბიუ (დანია) (0:3)
ლინი (ნორვეგია) 6:0 რუნავიკი (ისლანდია) (3:1)
ტვმკ (ესტონეთი) 0:3 ოდენსე (დანია) (1:1)
ბანანცი (სომხეთი) 1:2 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) (1:1)
ანართოსისი (კვიპროსი) 1:3 ჟელეზნიჩარი (ბოსნია) (0:1)
ფილკირი (ისლანდია) 0:0 აიკ (შვედეთი) (0:1)
ლანსანტფრეიდი (უელსი) 0:2 მანჩესტერ სიტი (ინგლისი) (0:5)
პლოცკი (პოლონეთი) 2:2 ვენტსპილსი (ლატვია) (1:1)
სარტიდი (სერბეთი) 3:0 სარაევო (ბოსნია) (1:1)
კაიდუკი (ხორვატია) 1:0 ჰაკა (ფინეთი) (1:2)
ქსამაქსი (შვეიცარია) 2:0 ვალეტა (მალტა) (2:0)

## დანია

I დივიზიონი, V ტური

სკიოლდი 1:3 რანდერსი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა, XIV ტური

ტამპერე 0:1 იარო

## შვედეთი

თასი. 1/4 ფინალი

ჰალმსტადი 2:1 ტრელებორგი

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004 პირველი ჯგუფური ეტაპი

CHAMPIONS LEAGUE

ესეც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური კალენდარი. დამაინტრიგებელი და საინტერესო ახალი ფორმატით — ქვეჯგუფურ მატჩებს მერვედფინალები მოსდევს. თქმა არ უნდა, თითოეულ ჯგუფში უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდება ორ-ორი გამსვლელი ადგილისთვის. გამორჩეულ ინტერესს კი „მანჩესტერ" — „რეინჯერსის" ორრაუნდიანი ომი იწვევს. პოსტსაბჭოური ინტრიგა კი B ჯგუფშია. მიხეილ აშვეთიას „ლოკომოტივს" „არსენალის" და „ინტერის" გარდა კიევური „დინამოს" მეტოქეობაც მოუწევს.

## A ჯგუფი

ბაიერნი გერმანია
ლიონი საფრანგეთი
სელტიკი შოტლანდია
ანდერლეხტი ბელგია

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| ლიონი — ანდერლეხტი | სელტიკი — ანდერლეხტი |
| ბაიერნი — სელტიკი | ბაიერნი — ლიონი |
| II ტური | V ტური |
| სელტიკი — ლიონი | ანდერლეხტი — ლიონი |
| ანდერლეხტი — ბაიერნი | სელტიკი — ბაიერნი |
| III ტური | VI ტური |
| ანდერლეხტი — სელტიკი | ლიონი — სელტიკი |
| ლიონი — ბაიერნი | ბაიერნი — ანდერლეხტი |

## B ჯგუფი

არსენალი ინგლისი
ინტერი იტალია
დინამო უკრაინა
ლოკომოტივი რუსეთი

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| დინამო — ლოკომოტივი | ინტერი — ლოკომოტივი |
| არსენალი — ინტერი | არსენალი — დინამო |
| II ტური | V ტური |
| ინტერი — დინამო | ლოკომოტივი — დინამო |
| ლოკომოტივი — არსენალი | ინტერი — არსენალი |
| III ტური | VI ტური |
| ლოკომოტივი — ინტერი | დინამო — ინტერი |
| დინამო — არსენალი | არსენალი — ლოკომოტივი |

## C ჯგუფი

დეპორტივო ესპანეთი
პსვ ეინდჰოვენი ჰოლანდია
აეკ საბერძნეთი
მონაკო საფრანგეთი

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| აეკ — დეპორტივო | მონაკო — დეპორტივო |
| პსვ — მონაკო | პსვ — აეკ |
| II ტური | V ტური |
| მონაკო — აეკ | დეპორტივო — აეკ |
| დეპორტივო — პსვ | მონაკო — პსვ |
| III ტური | VI ტური |
| დეპორტივო — მონაკო | აეკ — მონაკო |
| აეკ — პსვ | პსვ — დეპორტივო |

## D ჯგუფი

იუვენტუსი იტალია
გალათასარაი თურქეთი
ოლიმპიაკოსი საბერძნეთი
სოსიედადი ესპანეთი

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| იუვენტუსი — გალათასარაი | ოლიმპიაკოსი — გალათასარაი |
| სოსიედადი — ოლიმპიაკოსი | სოსიედადი — იუვენტუსი |
| II ტური | V ტური |
| ოლიმპიაკოსი — იუვენტუსი | გალათასარაი — იუვენტუსი |
| გალათასარაი — სოსიედადი | ოლიმპიაკოსი — სოსიედადი |
| III ტური | VI ტური |
| გალათასარაი — ოლიმპიაკოსი | იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი |
| იუვენტუსი — სოსიედადი | სოსიედადი — გალათასარაი |

## E ჯგუფი

მანჩესტერი ინგლისი
პანათინაიკოსი საბერძნეთი
რეინჯერსი შოტლანდია
შტუტგარტი გერმანია

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| რეინჯერსი — შტუტგარტი | პანათინაიკოსი — შტუტგარტი |
| მანჩესტერი — პანათინაიკოსი | მანჩესტერი — რეინჯერსი |
| II ტური | V ტური |
| პანათინაიკოსი — რეინჯერსი | შტუტგარტი — რეინჯერსი |
| შტუტგარტი — მანჩესტერი | პანათინაიკოსი — მანჩესტერი |
| III ტური | VI ტური |
| შტუტგარტი — პანათინაიკოსი | რეინჯერსი — პანათინაიკოსი |
| რეინჯერსი — მანჩესტერი | მანჩესტერი — შტუტგარტი |

## F ჯგუფი

რეალი ესპანეთი
პორტუ პორტუგალია
მარსელი საფრანგეთი
პარტიზანი სერბეთი

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| რეალი — მარსელი | პორტუ — მარსელი |
| პარტიზანი — პორტუ | პარტიზანი — რეალი |
| II ტური | V ტური |
| პორტუ — რეალი | მარსელი — რეალი |
| მარსელი — პარტიზანი | პორტუ — პარტიზანი |
| III ტური | VI ტური |
| მარსელი — პორტუ | რეალი — პორტუ |
| რეალი — პარტიზანი | პარტიზანი — მარსელი |

## G ჯგუფი

ლაციო იტალია
ჩელსი ინგლისი
სპარტა ჩეხეთი
ბეშიქთაში თურქეთი

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| სპარტა — ჩელსი | ლაციო — ჩელსი |
| ბეშიქთაში — ლაციო | ბეშიქთაში — სპარტა |
| II ტური | V ტური |
| ლაციო — სპარტა | ჩელსი — სპარტა |
| ჩელსი — ბეშიქთაში | ლაციო — ბეშიქთაში |
| III ტური | VI ტური |
| ჩელსი — ლაციო | სპარტა — ლაციო |
| სპარტა — ბეშიქთაში | ბეშიქთაში — ჩელსი |

## H ჯგუფი

მილანი იტალია
სელტა ესპანეთი
აიაქსი ჰოლანდია
ბრიუგე ბელგია

| | |
|---|---|
| I ტური | IV ტური |
| მილანი — აიაქსი | სელტა — აიაქსი |
| ბრიუგე — სელტა | ბრიუგე — მილანი |
| II ტური | V ტური |
| სელტა — მილანი | აიაქსი — მილანი |
| აიაქსი — ბრიუგე | სელტა — ბრიუგე |
| III ტური | VI ტური |
| აიაქსი — სელტა | მილანი — სელტა |
| მილანი — ბრიუგე | ბრიუგე — აიაქსი |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კულაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge